ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

6 — 7 ივლისი, 2013

№158 (6159)

ფასი: 30 თეთრი

5 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო სამზარეულო
ტომი 6
2 ლარი და 30 თეთრი

ახალციხეში სასამართლოს შენობას ქვები, კვერცხები და ცოცხები დაუშინეს

გვ.3

გოგა ხაინდრავა: „ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების შეფასებებს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ“

გვ.4

„ივანიშვილი მთავარ ოპოზიციად „რესპუბლიკელებს“ ამზადებს?“

გვ.5

გიორგი კობახიძე: „დღეს კონსტიტუციის ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაზე მორგება ხდება“

გვ.5

„ბაჩო ახალაია მალე გაამართლებენ“

გვ.5

დავით უსუფაშვილი: „კონსტიტუცია სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს“

გვ.6

შსს-მ კახეთში კიდევ ერთი პედოფილი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით, 1959 წელს დაბადებული თემურ მ. დააკავეს.

წინასწარი ინფორმაციით, დაკავებულმა 2013 წლის 2 ივლისს, წნორში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში სქესობრივი კავშირი დაამყარა ამავე ქალაქში მცხოვრებ 2003 წელს დაბადებულ გოგონასთან.

გამოძიება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების ფაქტზე, სსსკ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობს.

ბოლო 2 თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში ეს პედოფილიის უკვე მესამე შემთხვევაა.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385

3 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
მაკიაველი
8 ლარი



სოლომონ პავლიაშვილი: „ინვესტიციების შემოსვლას ხელს სააკაშვილი უშლის“

შორენა კოწოწაშვილი

რამდენად საგანგაშო ვითარებაა ეკონომიკური შემოსავლების კუთხით და სწორი მიმართულებით მიდის თუ არა აგრარული რეფორმა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ეკონომიკურ ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.

– ბატონო სოლომონ, საპარლამენტო უმცირესობა ივანიშვილის მთავრობას მუდმივად ეკონომიკის კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო აკრიტიკებს და საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან კლებაზე აპელირებს. მდგომარეობა საგანგაშოა?

– ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება საპარლამენტო არჩევნების შემდგომ კვირებისა და თვეების მიხედვით მიმაჩნია, რომ არ არის გამართლებული, რადგან ეკონომიკური ზრდის ტემპი ერთი წლის განმავლობაში იანგარიშება. მშპ არის ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი სიმდიდრე. ამიტომ ნაციონალების მხრიდან პანიკის ატეხა, რომ მაისის თვე ჩავარდა, აპრილი კარგი იყო, ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესმენებზე, როგორც ადგილობრივებზე, ისე უცხოელებზე. ისინი თავს იკავებენ საქართველოში ბიზნესსაქმიანობის დაწყებისგან. ამიტომ ყველამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და მსგავსი განცხადებების გაკეთება, რომ მაისი ჩავარდა, ნულოვანი ზრდა იყო და რომ აპრილს არაუშავს, ამაზე განგაშის ატეხა არასწორია. ეს ძალიან საფრთხილო თემაა. ვიმეორებ, ეს განცხადებები ზოგადად ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებას უშლის ხელს და ქმნის არაჯანსაღ გარემოს. ჩვენ უნდა დავველოდოთ ამ მაჩვენებლებს. მიმაჩნია, რომ მაისის ჩავარდნა არ არის სისტემური, ეს უფრო სიტუაციური ხასიათისაა. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია, პირველ რიგში, პოლიტიკური ცვლილებებით, ასევე იმით, რომ სამთავრობო საინვესტიციო აქტივობები შენელებულია. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ის 4,5 მლრდ, რომელიც ქვეყანამ 2008 წელს მიიღო, უკვე ამოწურულია. მიმაჩნია, რომ სეზონურობასთან დაკავშირებით ეს მაჩვენებლები უდავოდ გაიზრდება. ახლა ტურისტული სეზონი იწყება. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში გარკვეული პროექტებია დაწყებული. სამთავრობო საინვესტიციო აქტივობებიც უდავოდ გაიზრდება. ივლისი, აგვისტო და სექტემბერი შემოსავლების მაჩვენებლების კუთხით უკეთესი იქნება და შემოსავლები მოიმატებს.

– რას უკავშირებთ ინვესტიციების შემცირებას, ხელისუფლების ცვლას თუ ნაციონალების მიერ ქვეყნის გარეთ გაკეთებულ „შავ პიარს“ ახალი ხელისუფლების მიმართ?

– პირველ რიგში, ეს არის ხელისუფლების ცვლის შედეგი. გარდა ამისა, ბიზნეესიც იმ შოკისგან გათავისუფლდა, რასაც ერქვა პოლიტიკური ზეწოლა და წნეხი. აქ, ძირითადად, საუბარია საკუთრების უფლებაზე, ბიზნესის დატერორებაზე. ბიზნესი ჯერ



შოკშია და ვერ გარკვეული. იცით, რომ საქართველო ბიზნესის დაწყების გამარტივების კუთხით ათეულში შედიოდა; მეორე მხრივ, საკუთრების უფლების ხელყოფის კუთხით ვიყავით 123-ე ადგილზე. ინვესტორებმა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც უნდა დაინახონ, რომ ეს მდგომარეობა შეიცვალა. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ბიზნესის განვითარებას სჭირდება. ეს არის კარგი ინფრასტრუქტურა, გამართული საბანკო და სადაზღვევო სისტემა, ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება. კარგია, რომ დღეს დაიწყეს საუბარი ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღდგენაზე. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ქვეყანაში მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება. ამ პროცესებმა უნდა შეუწყოს ხელი ინვესტიციების შემოსვლას. რა თქმა უნდა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მეტი მუშაობა სჭირდება ამ მიმართულებით. ეკონომიკურ გუნდს უფრო მეტი კოორდინაცია უნდა. ეს, უბრალოდ, რჩევის სახით.

– მთავრობის ეკონომიკურ გუნდს შორის კოორდინაცია არ იგრძნობა?

– ვფიქრობ, ეს კოორდინაცია სუსტია. ვფიქრობ, ყველაფერი პრემიერზე გადადის. ინვესტიციების მოზიდვისთვის უფრო მეტი მუშაობა სჭირდებათ ყველა დონეზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჩვენი საელჩოების მუშაობა უცხოეთში. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ კუთხით საელჩოები არ მუშაობენ. უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური მიმართულებით ატაშეს ინსტიტუტი, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მუშაობას გააააქტიურებს. ჩვენ ყველა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. ასევე ძალიან საფრთხილოა ამ რეგულაციებმა და სხვა ნაბიჯებმა ხელი არ შეუშალოს ინვესტიციების მოზიდვას. უნდა ვეცადოთ, სოფლის მეურნეობა საინტერესო გავხადოთ ინვესტიციების თვალსაზრისით.

– თქვენ მთავრობის მუშაობის სისუსტეზე გაამახვილეთ ყურადღება. პრემიერმა აღიარა, რომ სუსტია მთავარი პროკურატურა. მოუწევს ბიძინა ივანიშვილს საკადრო ცვლილებების განხორციელება? ინვესტიციების შემცირებას სამართლიანობის აღდგენის პროცესს ხომ არ დაუკავშირებდით. ფაქტია, არაერთი მეწარმის ინტერესები შეილახა წინა ხელისუფლების დრო.

– ეს ძალიან რთული საკითხებია, რაც საკუთრების ხელყოფას ეხება. ძალიან გაუჭირდება მთავრობას და ნებისმიერ ინსტიტუტს მუშაობა, იმიტომ, რომ ბევრი ობიექტის წილებია გასხვისებული. დოკუმენტებში ნაჩვენებია, რომ ერთმა მეორეს ფული გადაუხადა. ბევრში უძრავი ქონებაა გადაცემული, მერე ის კიდევ გადაყიდულია. ზოგმა სახელმწიფოს დაუბრუნა თავისი ქონება, მერე იმან კონკურსი გამოაცხადა და ამ წესით კეთილსინდისიერმა მყიდველმა შეიძინა. როგორ გინდათ, ეს ყველაფერი უკან დააბრუნოთ?! თუმცა, იმისიც მესმის, ვინც ქონება დაკარგა. იმას სულ არ აინტერესებს, რა და როგორ მოხდა. ასევე მნიშვნელოვანია, ვინ უნდა აიღოს კომპენსაციის გაცემა. გამორიცხულია, რომ ეს იყოს სახელმწიფო. ამაზე მინიშნების გაკეთებაც არ შეიძლება. ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას და ვერ იტყოდა, მე რომ მოვალ ხელისუფლებაში, ამ დაკარგულ ქონებას დაგიბრუნებთ, ან კომპენსაციას მოგცემთ. ეს მართლაც რომ ურთულესი საკითხია. ამიტომ პროკურატურა როგორც მიდის, ისე უნდა წავიდეს. ძალიან რთულია, ამაზე გარედან ისაუბრო. როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროცესის დაჩქარება, როცა პროკურატურაში 20 ათასზე მეტი განცხადებაა შესული, მათ შორის უცხოელებისაც. ამ ყველაფერს შესწავლა უნდა. ამას თავისი პროცესუალური ნორმები აქვს. შეიძლება ამბიციურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, თუ რამე ვიცი კარგად, ეს ქონებრივი საკითხებია. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ მხრივ ურთულესი ვითარებაა. მარტივ მაგალითს გეტყვით. ზოგმა იძულებით წილი გაყიდა და მიიღო თანხა შპს-სგან, მერე ის შპს გაკოტრდა, რომელმაც ეს წილი მიიღო. მერე ამ გაკოტრებულ შპსს გამოუჩნდა მყიდველი. ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი იმაზე, რომ პირს დაუბრუნოს ქონება, რომელიც აიძულეს, რომ თავისი ქონება იმ შპს-სთვის დაეთმო? სხვა ვარიანტებიც არის ამ წილების დათმობასთან მიმართებით. როგორ უნდა მოვიქცეთ, ყველა ჩინოვნიკი დავიჭიროთ, ვინც ამაში მონაწილეობდა? არის კი ის ქონება დღეს ისევ იმ სახით? ზოგმა ლიკვიდაცია გაუკეთა, ზოგმა კიდევ ინვესტიცია განახორციელა და დღეს სხვა ფასი აქვს მას. თითოეულ საკითხს დეტალური შესწავლა უნდა და საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ეს საკითხები მარტივად ვერ მოგვარდება.

–ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვერა ქობალია ივანიშვილის მთავრობას სწორედ ეკონომიკური არაწინსვლის გამო აკრიტიკებს. აქვს კი მორალური უფლება ქობალიას, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა აკრიტიკოს?

– კარგით, რა. ვერა ქობალიას შეფასებებზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო. ამ მთავრობას, პირველ რიგში, უჭირს დროში. ჯერ მაინც ახალი მოსულია. 8 თვე არ არის ბევრი დრო, რომ ახალმა მთავრობამ ეკონომიკური წინსვლა ასე მნიშვნელოვნად აკრიფოს. პრემიერ-მინისტრს თავისი ურთიერთობა და გავლენა უცხოელ ინვესტორებთან ჯერ არ გამოუვლენია, ამ მიმართულებით ახლა დგამს ნაბიჯებს. იგივე ისრაელში მისი ვიზიტი ავიღოთ. გარდა ამისა, პოლიტიკური ბატალიები რომ მიდის, ფოკუსირება აქეთ ხდება. ესეც გარკვეულად ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას.

– გამოდის, ორხელისუფლებიანობა აფერხებს ინვესტიციების შემოდინებას. ასეა?

– რა თქმა უნდა, აგრეთვე ის პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც კარგა ხანს იქნება. ხალხი უნდა მიეჩვიოს, რომ ცხოვრება შეიცვალა. იყო ხელისუფლება, რომელსაც მომდავებელი არავინ ჰყავდა და, როგორც იყო მათი პოლიტიკური ნება, ისე მართავდნენ ქვეყანას წლების განმავლობაში. მაშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა მინისტრი, არც მის პროფესიონალიზმს.

– ფიქრობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ინვესტიციები საქართველოში გაიზრდება?

– უდავოდ გაიზრდება. ინვესტიციები ობიექტურად გაჩნდება. ჩვენ აქეთ მივდივართ. არ გამოვრიცხავ, საპრეზიდენტო არჩევნებმაც შეზღუდოს გარკვეული დროით ინვესტიციები.

– პარლამენტის მიერ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით მიღებული ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებიც შეაფერხებს ინვესტიციების შემოდინებას?

– მე ვფიქრობ, რომ ვინც შპს-ს აფუძნებს უცხოეთში, მას არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს კოოპერაციებში და ა.შ. აქ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ სუბსიდირება უნდა გავუკეთოთ ადგილობრივებს და არა უცხოელებს. ეს სუბსიდირებაც უნდა იყოს დროებითი ხასიათის. კოოპერაციაში შესვლა რატომ უნდა იყოს საინტერესო გლეხისთვის? – ვფიქრობ, ადამიანს იმიტომ უნდა აინტერესებდეს კოოპერაციაში შესვლა, რომ იქ მას ექნება დაბალპროცენტიანი სესხის მიღების უფლება. ექნება სახელმწიფოდან სუბსიდირება და ტექნიკის მიღების საშუალება. ამაში უცხოელი არანაირად არ უნდა მოექცეს. თუმცა მე, პირადად, წინააღმდეგი ვარ, რომ უცხოელებზე მიწის გაყიდვა აიკრძალოს. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ფული უნდა ავიღოთ ინვესტიციების სახით შემოსული. ამ გზით გლეხი არ იჩაგრება. თუ ინვესტორი მიწას იყიდის, სად წაიღებს, ხომ უნდა დაამუშაოს? ამ მიწაზე ისევ ქართველს მოუწევს მუშაობა და ის იქნება დაქირავებული მუშა. ამ კუთხით ინვესტიციების შემოდინებას ხელი არ უნდა შევუშალოთ. იმ ცვლილებებით, რაც ახლა მიიღეს, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ იმ შპს-ებს, რომლებიც უცხოეთში იქნება დაფუძნებული. ეს შეზღუდვაც არის 2014 წლამდე.

– რადგან სოფლის მეურნეობას შეეხეთ, ივანიშვილის მთავრობა პირველმა სწორედ სოფლის მეურნეობის მინისტრმა დატოვა, სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი კი დაპატიმრებულია. პრემიერმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ იფიქრა პროკურატურისთვის ეთხოვა არ გახმაურებულიყო, რაც სამინისტროში მოხდა. რას იტყვით მომხდართან დაკავშირებით? მართლაც შიდა სახელისუფლებო დაპირისპირებას შეეწირა კირვალიძის სავარძელი?

– ამაზე კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. ისე, სიმართლე გითხრათ, კირვალიძეზე გული მწყდება. ის ჩემი ყოფილი კოლეგაა, ძალიან მაღალი დონის პროფესიონალია. შეიძლება, გაუგებრობაში მოხვდა. ყველაფერი გაირკვევა.

ირაკლი ალასანია გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გუშინ გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს თომას კოსენდაის შეხვდა. თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით გრძელვადიან პერიოდში თანამშრომლობაზე, – აცნობეს „მედიანიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გერმანულ მხარეს თავდაცვის სფეროში გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება.

მედიანიუსი

ნაციონალური მოძრაობა ქუთაისის ვიცე-მერების გათავისუფლებას აპროტესტებს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის. ქუთაისის თვითმმართველობის თანამდებობის პირთა გათავისუფლების გამო განცხადებას ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს არჩეული თვითმმართველობების უმრავლესობის მსგავსად ქუთაისის თვითმმართველობის არასაარჩევნო, ძალადობრივი გზით დაუფლების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო დაიწყო თანამშრომელთა მასიური უკანონო დათხოვნები. სამსახურიდან გათავისუფლების ერთადერთი კრიტერიუმი ქუთაისის ახალი მერის დიმიტრი კოპალიანის განცხადებითვე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრობაა.

პარტიის პოზიცია მედიას პარლამენტარმა ირმა ნადირაშვილმა გააცნო.

მისი თქმით, მერის 4 ივლისის ბრძანებით, რომელიც გამოცემულ იქნა კონტროლის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალების დროებითი შემსრულებლის ხათუნა ხურციძის (სატეესტაციო კომისიის წევრის ზურაბ ხურციძის შვილი) იმავე დღეს დაწერილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა ორი ვიცე მერი: ამირან ძოწენიძე და კოტე რატიანი.

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა ახორციელებდა ზეწოლას ორივე ვიცე მერზე რათა მათ საკუთარი სურვილით დაეტოვებინათ თანამდებობა. ზეწოლისადმი არდამორჩილების შემთხვევაში კი იყო სისხლის სამართლებრივი დევნისა და დაპატიმრების მუქარები,“ – განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან პარლამენტის წევრმა ირმა ნადირაშვილმა და დასძინა, რომ „ვიცე მერების, რომელთაც ქუთაისის განვითარებაში და ფეხზე დაყენებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ასე გათავისუფლება არის უკანონო და ეწინააღმდეგება კანონს საჯარო სამსახურის შესახებ. მათ არ უფიქსირდებათ არც ერთი გადაცდომა, არ მიუღიათ არც ერთი გაფრთხილება და მათ მიმართ არ წარმოებს არანაირი ოფიციალური დევნა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

არეულობა ახალციხეში

აქციის მონაწილეებმა სასამართლოს შენობას ქვები, კვერცხები და ცოცხები დაუშინეს

შორენა მარსაგიშვილი

სამცხე-ჯავახეთის ჰეგიონში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. ბოლო 2 დღეა აქ აქციები ახ ნყდება. ადგილობრივები ბოჰჯომის პოლიციის ყოფილი უფროსის გათავისუფლებას აპჰოტესტებენ. ბოჰჯომის პოლიციის ყოფილი უფროსი და ბოჰჯომის ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატი, მამუკა ხვედელიანი და მისი თანამშრომლები: სერგო სამსონიძე, აღექსანდრე ბლიაძე, გიორგი ღომიძე და გიორგი ბლიაძე ახალციხის რაიონულმა სასამართლომ 3 ივლისს უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ამ ადამიანებს ბრალი საკმაოდ სერიოზულ დანაშაულში ედებოდათ. მათი დაკავება რამდენიმე თვის წინ მოხდა. სამართალდამცავებს ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაში ადანაშაულებენ. მათი დაკავების ფაქტს ქვეყანაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ხალხი აღშფოთებას ვერ მალავდა. ხალხის აღშფოთება მაშინ უნდა გენახათ, როცა ახალციხის სასამართლომ ეს ადამიანები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მათი გათავისუფლების მეორე დღესვე ბორჯომში საპროტესტო აქციები დაიწყო. აღშფოთება და შეშფოთება მთავარმა პროკურატურამაც გამოთქვა. ისინი განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ.

აქციები ბორჯომსა და ახალციხეში გუშინაც გაგრძელდა. ადგილობრივების საპროტესტო აქციას თბილისიდან ჩასულებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ გოგა ხაინდრავა, ლევან გოგიჩაიშვილი და ირმა ინაშვილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით ყველა აღშფოთებული იყო.

აქციამ მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ „ქართული ოცნების“ დროშები, ქვები, კვერცხები, ცოცხები და პომიდვრები. სასამართლოს მიმართულებით ყველა სახის „იარაღი“ ისროლეს.

ამ სროლების შედეგად ახალციხის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი თანამშრომელი დაშავდა. ერთ-ერთმა ქვამ ფანჯარა ჩაამტვრია და ოთახში მყოფ ადამიანს თავში მოხვდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მენეჯერის ნინო ჩიგოგას თქმით, შენობასთან მივიდა დაახლოებით 70-მდე ადამიანი, რომელთა ნაწილს თან ჰქონდა „ქართული ოცნების“ დროშები.

– იძახდნენ უცენზურო სიტყვებს, იგინებოდნენ, ყვიროდნენ, მთლიანად მოახდინეს სასამართლოს ბლოკირება. პოლიცია გამოვიძახეთ, მაგრამ დიდი რეაქცია არ ჰქონიათ, – განუცხადა „ნეტგაზეთს“ ჩიგოგამ.

საპროტესტო აქცია 3 ივლისს გამოტანილი განაჩენის გამო გუშინწინ ბორჯომშიც გაიმართა. სწორედ ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსი და ამავე პოლიციის ყოფილი ოთხი თანამშრომელი დააკავა ახალმა მთავრობამ არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით. გამოძიება ირწმუნება, რომ მამუკა ხვედელიანმა და მისმა ყოფილმა თანამშრომლებმა 2009 წელს ერთ-ერთ მამაკაცს სცემეს, შეურაცხყვეს, სკამის ფეხით გააუპატიურეს და ფოტოები გადაუღეს. სასამართლომ დაკავებულებს ეს ბრალდება არ დაუდასტურა.

– ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იქნა სასამართლო სხდომაზე, არა თუ არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს და დაზარალებულთა ჩვენებებს, არამედ ხშირ შემთხვევაში გამორიცხავდნენ დაზარალებულთა მიერ მითითებულ ფაქტებს. ამასთან, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების (პირის ამოცნობის) ოქმები, რომლებიც მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება გამხდარიყო, ბრალდების ნაწილში შეუსაბამობაში მოდიოდა საგამოძიებო მოქმედების ამსახველ ვიდეო ჩანაწერთან, რამაც მტკიცებულებები ეჭვქვეშ დააყენა, – ასე განმარტეს ახალციხის რაიონულ სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი.

ამ განაჩენს მთავარი პროკურატურა 4 ივლისს გამოეხმაურა. არჩილ კბილაშვილის უწყებაში ამ განაჩენის გასაჩივრებას არ გამორიცხავენ.

– ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ სხვადასხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში. ბრალდების არსი მდგომარეობდა შემდეგში: 1. 2009 წლის 1 იანვარს დაბა ბაკურიანში მომხდარი ინციდენტის გამო ადგილობრივმა პოლიციამ რამოდენიმე პირი დააკავა, რომლებიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მამუკა ხვედელიანმა ბორჯომის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანა. სამმართველოში მისვლისას დაკავებულ პირებს მამუკა ხვედელიანის ბრძანებით მოხსნეს ხელბორკილები, აიყვანეს მეორე სართულზე, განათავსეს ცალ-ცალკე ოთახებში, სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ ცემაში მონაწილეობდნენ მამუკა ხვედელიანი და პოლიციელები

სერგო სამსონიძე, ალექსანდრე ბლიაძე და გიორგი ბლიაძე.

ერთ-ერთ დაზარალებულს დაუჭირეს ხელები, ჩაუწიეს შარვალი, საჯდომზე მიადეს პლასტმასის ბოთლი და გადაუღეს სურათები როგორც სახეზე, ასევე საჯდომზე. სურათებს მობილური ტელეფონით იღებდა სერგო სამსონიძე. ვინაიდან ცემის გამო მსხვერპლს სახიდან მოსდიოდა სისხლი, იგი პერიოდულად გაჰყავდათ საპირფარეშოში, სადაც ეს უკანასკნელი იბანდა სისხლიან სახეს. ცემისას ალექსანდრე ბლიაძემ მსხვერპლს მარცხენა ყურზე დაადო ანთებული სიგარეტი და ყური დაუწვა.

ამის შემდეგ ნაცემი დაზარალებული პოლიციის ორმა თანამშრომელმა მიიყვანეს მაგიდასთან, გადახარეს და გიორგი ბლიაძეს უთხრეს, რომ მასთან დაემყარებინა სექსუალური კავშირი, რის საპასუხოდაც გიორგი ბლიაძემ აიღო რკინის სკამი და სკამის ფეხი მსხვერპლს უკანა ტანში შეუყვანა. გაუპატიურების შემდეგ კი მსხვერპლი იატაკზე დააგდეს. ამის შემდეგ მამუკა ხვედელიანმა მსხვერპლს უთხრა, რომ გადაღებულ სურათებს ბაკურიანის ცენტრში გამოუქვეყნებდა თუკი ჭკუით არ იქნებოდა.

მეორე დანაშაულებრივი ეპიზოდი, რომელშიც ბორჯომის პოლიციის სამმართველოს უფროსი მამუკა ხვედელიანი იმხილებოდა, 2011 წლის 27 მაისს მოხდა, როცა დაბა ახალდაბაში არსებულ რესტორან „ბურჯებში“ პოლიციის მუშაკებმა 2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში ოპოზიციის მიტინგზე ყოფნის გამო უკანონოდ დააკავეს სამი პირი. აღნიშნული პირები მამუკა ხვედელიანის დავალებით წაიყვანეს ბორჯომის პოლიციის შენობაში, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე დააკავეს ადმინისტრაციული წესით, თითქოსდა მათ ერთმანეთში იჩხუბეს და სწორედ ამით დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნულ პირებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ერთ-ერთ მათგანს კი ჩაუმტვრიეს ნეკნი.

ზემოაღნიშნულ ქმედებათა გამო ბრალდებულებს მამუკა ხვედელიანს, სერგო სამსონიძეს, ალექსანდრე ბლიაძეს, გიორგი ბლიაძესა და გიორგი ღომიძეს ბრალი დაედოთ ისეთ უმძიმეს დანაშაულებებში, როგორიცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, პირის დამცირება და იძულება, ასევე არაადამიანური ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და განზრახ უკანონო დაკავება.

აღნიშნული ბრალდებები დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით, როგორებიცაა ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებები და სხვა, რომლებიც მოპოვებულ იქნა როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების დროს.

ამ საქმის განხილვა რამდენიმე თვე გრძელდებოდა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილი მისი ინიციატივით, არაოფიციალურ ვითარებაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის პროკურორს გივი პაპუაშვილს და ურჩია, რომ ბრალდებულებთან გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება მათი გათავისუფლების პირობით, რაც მოსამართლის სიტყვებით ყველასათვის კარგი გამოსავალი იქნებოდა. პროკურორმა მოსამართლის ამ შეთავაზებას უარით უპასუხა, რადგან ბრალდებულ პირთა გათავისუფლება და მათთვის პირობითი მსჯავრის დაწესება არაადეკვატური სასჯელი იქნებოდა მათ მიერ ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში.

2013 წლის 3 ივლისს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გოჩა ჯეირანაშვილმა მამუკა ხვედელიანის, სერგო სამსონიძის, ალექსანდრე ბლიაძის, გიორგი ბლიაძისა და გიორგი ღომიძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, – განაცხადეს 4 ივლისს მთავარ პროკურატურაში.

მათ განცხადებას ძალიან მალე გამოეხმაურა უზენაესი სასამართლო. კოტე კუბლაშვილის უწყება მთავარ პროკურატურას სასამართლოს დისკრედიტაციაში სდებს ბრალს.

– 2013 წლის 3 ივლისს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს ყოფილი უფროსის მამუკა ხვედელიანისა და კიდევ ოთხი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

უკვე ორი დღეა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მთავარი პროკურატურის მხრიდან არა მარტო არაზუსტი, არამედ სასამართლოს დისკრედიტაციის შემცველი განცხადებები მოჰყვა.

4 ივლისს, პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა, ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ სამხარეო პროკურორს ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესთავაზა.

საქმის ვითარება სრულიად საპირისპირო გახლდათ: ახალციხის საოლქო პროკურატურის მაღალჩინოსნებმა თავად იკითხეს, ადეკვატური იყო თუ არა ამ საქმესთან დაკავშირებით საპროცესო შეთანხმება გაფორმებული იყო. სასამართლოს პასუხი გახლდათ შემდეგი: საპროცესო შეთანხმება ფორმდება მხარეთა შორის და თუკი ასეთი დოკუმენტი სასამართლოში შემოდის, სასამართლო მას კანონით დადგენილი წესით განიხილავს.

სასამართლო აცხადებს, რომ მსგავსი სიცრუის ტირაჟირებას, მთავარი პროკურატურის მხრიდან, არა მარტო საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, არამედ ასეთი ინფორმაციის გავრცელებით პროკურატურა სასამართლოს დისკრედიტაციას ცდილობს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ 3 ივლისს გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილება ემყარებოდა მხოლოდ საქმეზე წარმოდგენილ მასალებს და მხარეთა შეჯიბრებითობის უმთავრეს პრინციპს, – ნათქვამია უზენაესი სასამართლოს განცხადებაში.

სანამ პროკურატურა და სასამართლო ერთმანეთს განცხადებებს უგზავნიან, ბორჯომში ვითარება იძაბება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პატიმრობიდან ახლად გათავისუფლებული პოლიციის ყოფილი უფროსი მოტოციკლეტით გადაადგილდება და ხალხს იარაღით აშინებს.

„გურია ნიუსი“ მამუკა ხვედელიანის ადვოკატ ზაზა მარიდაშვილს დაუკავშირდა, რომელიც ამბობს, რომ გათავისუფლების წუთიდან ხვედელიანი თბილისში წავიდა და სახლიდან არ გამოდის.

– სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ტყუილია, რასაც მედია ავრცელებს. გათავისუფლების შემდეგ ხვედელიანი ერთი საათიც არ გაჩერებულა ბორჯომში, თბილისში წავიდა და მას შემდეგ სახლიდან არ გამოდის. რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენს, პროკურატურამ ეს საკუთარ თავს დააბრალოს, დამნაშავეებს სხვაგან ნუ ეძებს, – აცხადებს ადვოკატი.

ზაზა მარიდაშვილი არ იზიარებს პროკურატურის განცხადებას, რომ ბრალდება მტკიცებულებებით იყო გამყარებული.

– ამ საქმეში გამოძიების ეტაპიდან ჩავერთე და მამუკა ხვედელიანს სასამართლოშიც ვიცავდი. პროკურატურას არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, გარდა საქმეში არსებული რამდენიმე დოკუმენტისა, რომელთა ნახევარი გაყალბებული იყო. ეს იყო, მაგალითად, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი, რომელიც ყალბ მონაცემებს შეიცავდა. როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედებას ატარებდნენ, პარალელურად მიმდინარეობდა ვიდეო გადაღება. სასამართლოზე წარმოდგენილი ვიდეო და დოკუმენტი, რომელიც საქმეში ჩადეს, როგორც მტკიცებულება, აცდენილი იყო როგორც დროში, ასევე ვითარებაშიც. ე.წ. დაზარალებული ვიდეო გადაღებისას ამბობდა სხვა რაღაცას, ხოლო ოქმში – სხვას. ანუ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს დაზარალებული საერთოდ არ ახსენებდა მამუკა ხვედელიანის სახელს, სათანადო დოკუმენტში კი გამომძიებლის მიერ მოხდა გვარის ჩამატება. ასევე ყალბია ბრალდებულის ამოცნობის ოქმი, ჩვენთვის გადმოცემულ დოკუმენტში სხვა დრო ეწერა, სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტში – სხვა. აქედან გამომდინარე, რატომ უკვირს პროკურატურას, რომ სასამართლომ ეს დოკუმენტები მტკიცებულებებად არ ცნო, თუ შეიძლება ამას მტკიცებულება ეწოდოს. არანაირი კადრები არ არსებობს, ხვედელიანის გვარი დაასახელა ე.წ. დაზარალებულმა, როდესაც განაცხადა, რომ ხვედელიანმა სცემა და გააუპატიურა. ეს ჩვენება სასამართლოში სულ აურ-დაურია. სხვა რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. უფრო მეტიც, ის ფაქტები, რასაც ედავებიან ხვედელიანს, საერთოდ არ დადასტურდა, – აღნიშნავს ხვედელიანის ადვოკატი.

პროკურატურა კი ამბობს, რომ ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება წამება-გაუპატიურების ფაქტი.

– თავიდან დაზარალებული აცხადებდა, რომ სკამის ფეხით გააუპატიურეს, სასამართლოზე კი სულ სხვა გარემოებები გადმოსცა. რაც შეეხება ექსპერტიზას, სასამართლოზე სამედიცინო ექსპერტების დაკითხვით დადასტურდა, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეიძლებოდა მომხდარიყო, გამოირიცხა ასეთი ფაქტი საერთოდ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ასეთის შემთხვევაში, პიროვნება (იმ სიმპტომების გათვალისწინებით, რასაც ის აღწერდა), ქირურგიული ჩარევის გარეშე ვერ გადარჩებოდა და აუცილებლად გარდაიცვლებოდა. ეს დადასტურდა როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი ექსპერტის, ასევე მათ მიერ მოწვეული ექსპერტის დაკითხვის შედეგად. უფრო მეტიც, დაზარალებული აცხადებდა, რომ მას ყურზე სიგარეტს აწვავდნენ; ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ასეთ შემთხვევაში, მას დამწვრობის კვალი დარჩებოდა, რაც მას არ გააჩნია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან პროკურატურამ წარმოადგინა არა თუ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ საერთოდ ვერ წარმოადგინა ვერაფერი, – აცხადებს „გურია ნიუსთან“ საუბარში ადვოკატი.

გამოცემა „სამხრეთის კარიბჭე“ კი ბორჯომის ყოფილი პოლიციის უფროსის მამუკა ხვედელიანის სასამართლო პროცესის გაუხმაურებელ დეტალებზე წერს.

პროკურორ მირიან ჭუმბაძის ინფორმაციით, სასამართლო სხდომაზე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ყოფილმა ბრალდებულებმა გიორგი ბლიაძემ და გიორგი ღომიძემ მამაკაცის სკამის ფეხით გაუპატიურება აღიარეს.

– ორივე მათგანი საპროცესოს ითხოვდა, მაგრამ პროკურატურამ ეს არ დაუშვა. ის, რომ მათ ბრალი ნაღიარები აქვთ, სასამართლოს აუდიო და ვიდეო ჩანაწერებშია“, – ამბობს ჭუმბაძე და აქვე ამატებს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, გიორგი ბლიაძემ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა მამაკაცის სკამის ფეხით გაუპატიურების პროცესში, სასამართლოზე იმის შესახებაც განაცხადა, რომ მამაკაცის გაუპატიურების შემდეგ სამსახური დატოვა და მონასტერში მორჩილად წავიდა, – ამბობს პროკურორი.

ის, რომ ბლიაძემ და ღომიძემ ბრალი აღიარეს, ერთ-ერთი ბრალდებულის, ალექსანდრე ბლიაძის, ადვოკატიც გვიდასტურებს.

– მათ ბრალი პროკურატურის მხრიდან ზეწოლის გამო აღიარეს, – ამბობს ადვოკატი დემურ ალხაზიშვილი.

პროკურორი „სამხრეთის კარიბჭესთან“ საუბარში ადვოკატისა და ბრალდებულების განცხადებას აბსურდულს უწოდებს.

– აბსურდია თითქოს მათზე ზეწოლა განხორციელდა. ჯერ აღიარეს ბრალი, შემდეგ კი მოილაპარაკეს, რაღაც-რაღაცებზე შეთანხმდნენ და უარყვეს, – აღნიშნავს პროკურორი.

სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შემდეგ გიორგი ბლიაძემ სასამართლო კომენტარის გარეშე დატოვა.

მისი ადვოკატის, იური ზაქარიძის, განცხადებით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფს საპროცესოს გაფორმება არ უთხოვია. რაც შეეხება ბლიაძის მონასტერში წასვლას, ზაქარიძე ამბობს, რომ ბლიაძე პოლიციიდან პოლიციის უფროს მამუკა ხვედელიანთან მომხდარი უთანხმოების გამო წავიდა.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, ბლიაძე სასამართლო პროცესებზე მორჩილის კაბით არ დადიოდა, თუმცა ყოველთვის თან ჰქონდა ლოცვების წიგნი და წვერს ატარებდა. მას ხელში ეჭირა „ლოცვანი“ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებისასაც. იგი პროცესებზე არ აქტიურობდა.

გოგა ხაინდრავა: „ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების შეფასებებს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ“

ნონა ცაბაძე

გოგა ხაინდრავა საგანგაშოსა და შემაშფოთებელს უნოდებს იმ ფაქტს, რომელიც გუშინ ახალციხეში მოხდა. მოსამართლემ ნამებასა და გაუპატიურებაში ეჭვმიტანილები გაათავისუფლა. ხაინდრავა აცხადებს, რომ საზოგადოება ამ ფაქტს ასე არ დატოვებს და ამ დამნაშავეებს საფლავის ჯურამდე მიჰყვება.

– ყველაფერს ხელისუფლებისაგან ნუ ელოდება ხალხი. არის რაღაც, რაც თავად უნდა გააკეთოს. ჩვენ ამ თემაზე პრესკონფერენციას ჩავატარებთ და შემდეგ ბორჯომში მივდივართ. ეს ასე არ უნდა დარჩეს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გოგა ხაინდრავა და ქვეყანაში არსებულ ვითარებას აფასებს.

– ბატონო გოგა, მოდით, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები. ყველა ხედავს, რომ, როგორც ვირთხები გემიდან, ისე გამორბიან ნაციონალები საკუთარი პარტიიდან.

– უნდა ველოდოთ, რომ უახლოეს პერიოდში საერთოდ დაიშლება ეს მოძრაობა. ეს მოსალოდნელიც იყო. მე არაერთხელ მითქვამს ამის შესახებ და კიდევ გავიმეორებ. ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. ტერორისტული ორგანიზაციაა თავისი არსით. მე ეს დავამტკიცე და დავადასტურე, როდესაც საფუძვლად დავუდე გაეროს ჟენევის დეკლარაციას, სადაც აღწერილია, რას ნიშნავს სახელმწიფო ტერორიზმი და თერთმეტივე პუნქტი, რომელიც აქ არის ჩამოთვლილი. სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას მთლიანად ჰქონდა უზურპირებული ხელისუფლება საქართველოში, ყველა შტო ხელისუფლების, ამიტომ სურათი ნათელია. ბუნებრივია, არაერთხელ იყო სხვადასხვა სტერეოტიპების მაგალითი მოყვანილი. ბუნებრივია, გარბიან, თავის გადარჩენას ცდილობენ და, როგორც წესი, ისეთი სახით, რა სახითაც ნაციონალური მოძრაობის არსებობა დამთავრდება საქართველოში, მე ვფიქრობ, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოსვლია, კომუნისტურსაც კი. ისინი კომუნისტებს არაფრით ჩამორჩებოდნენ და რისი მხილველიც ჩვენ გავხდით ადამიანების წამებასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, გადააჭარბეს კიდეც.

– ამ გაქცევითა და თავის სხვა პარტიაში შეფარებით რამდენად ჩამოირეცხავენ ამ ცოდვებს?

– ცოდვების ჩამორეცხვა-არჩამორეცხვა ადამიანური კატეგორია არ არის. ამას უფალი საზღვრავს და ეკლესია, ამიტომ, ბუნებრივია, ნებისმიერი ცოდვილი, ვრცელი მონანიების შედეგად, შესაძლებელია, გათავისუფლდეს ცოდვებისაგან. საქმე ისაა, რამდენად გულწრფელი იქნება მათი მონანიება, თორემ მონანიების უფლება უფალმა მისცა ადამიანს და ჩვენ ვერანაირად ვერ წავართმევთ. უბრალოდ, უნდა იყოს წრფელი და გულწრფელობა ყოველთვის ჩანს. მე ვფიქრობ, ყველა მათგანმა, დამოუკიდებლად, საკუთარ თავთან და უფალთან უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე იხელმძღვანელოს.

– ბატონო გოგა, რაც შეეხება დასავლეთის დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი, მათი ტონი, განცხადებები კვლავ უცვლელია, პირიქით, ახალი ხელისუფლების კრიტიკა გვესმის და მეტი არაფერი.

– ეს არის ფარისევლობა. არა მგონია, ჩვენ ამას მაინცდამაინც დიდ



ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ. ბუნებრივია ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე, იმისთვის არსებობს ეს ინსტიტუტები, რომელსაც მთავრობა ჰქვია, რომელსაც ჩვენ მოსახლეობა ვაფინანსებთ, რომ დაიცვას ჩვენი ინტერესები და ამის განხორციელება შესაძლებელია. ზოგადად მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურა ფარისევლურია. რასაც ამერიკელები დემოკრატიას ეძახიან და რაც ამ საფარველის უკან ხდება, მე მგონი, ყველამ იწვნია ეს საკუთარ თავზე, საკუთარ პოლიტიკურ კარიერაზე, საკუთარ ქვეყანაში. რასმუსენზე ლაპარაკი საერთოდ არ მინდა. ეს არის ერთი უზრდელი ადამიანი, რომელიც, მე საერთოდ არ მესმის, რანაირად შეიძლება, ასეთი სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაციის სათავეში იდგეს. ის არის აბსოლუტურად უმეცარი ადამიანი. მათ სინდისზე იყოს მათი განცხადებები, მთავარია, ქართველი კაცის ერთობა, ის იდეალები, ის ფასეულობები დავიცვათ. ჩვენ არავის ფასეულობების მაგალითად მოტანა არ გვჭირდება ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ერი ვართ და მთელი ევროპული ცივილიზაცია და ევროპული კულტურა და ამერიკული აღმოცენებულია და დაფუძნებულია ქრისტიანულ ღირებულებებზე და ჩვენ არ გვესწავლება ქრისტიანული ღირებულებები. სხვა საქმეა, რამდენად ვასრულებთ ამას, მაგრამ, იმ ფონზე, რასაც ისინი ჩადიან, საკითხავია, ვინ უფრო მეტად არის ამ ღირებულებების ერთგული, ჩვენ თუ ევროპელები. ყოველ შემთხვევაში, რასმუსენს ქრისტიანულ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს, ისევე, როგორც ამერიკის სენატორებს, რომლებიც სიცრუის ტირაჟირებაში არიან და გაუკუღმართებული ცხოვრების წესის და მოქმედების ინიციატორები არიან. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულწილად რაღაც გავლენას ახდენს, მაგრამ ეს არც გადამწყვეტია და არც ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ეს არის აღმშენებლობა და ცოტა გონიერება, რომელსაც იმ ადამიანებისგან ელოდება მოსახლეობა, ვისაც ოპოზიციონერობის პრეტენზია გააჩნია. რაღაცა ზომა წონა და ამ ღირებულებებთან ერთობა მაინც უნდა ჩანდეს. საკუთარი პატივმოყვარეობის გამო ყველაფერი დაგმო, დაანგრიო და ერთ ულუფაში არიო, ასე არ იქნება სწორი, ჩემი აზრით.

– ბატონო გოგა, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ვნახეთ, რომ კამპანია უკვე გახსნილად გამოცხადდა. პრეზიდენტმა რამდენჯერმე დაასახელა და შეცვალა არჩევნების თარიღი. დასახელდა კანდიდატებიც. როგორ უყურებთ თქვენ ამ პროცესებს?

– პრეზიდენტის ქმედებებზე რისი თქმა შეიძლება. ეს არის შიზოფრენიკი კაცი. ამდენი ბოროტება რომ არ ქჰონდეს ჩადენილი და რომ არ განაგრძობდეს ამ ბოროტებას, შეცოდების გარდა, სხვა გრძნობა არ შეიძლება მისდამი გქონდეს ადამიანს. მისი ქმედებების შეფასებებს დღეს აზრი არა აქვს. დღეს ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ის, რაც გუშინ ახალციხეში მოხდა.

– მოსამართლის გადაწყვეტილება გაქვთ მხედველობაში?

– დიახ, ეს არის საგანგაშო, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი და მე მინდა, საზოგადოებას ძალიან დიდი ყურადღებისკენ მოვუწოდო. იმიტომ რომ, ხუთი ბარბაროსი და კაციჭამია გუშინ ასეთივე ბარბაროსმა და კაციჭამიამ, მოსამართლის მანტიაში გახვეულმა მგელმა განახორციელა. ეს არის ძალიან საყურადღებო, ეს არის პირველი შედეგი და ძალიან სერიოზული შედეგი იმისა, რომ კონსტანტინე კუბლაშვილმა, ამ ობობამ, სრული გაგებით, ამ სიცრუის პირველწყარომ დღევანდელ დღეს, როდესაც ნაციონალებს აღარანაირი ძალაუფლება არ გააჩნიათ და, სამწუხაროდ, კუბლაშვილმა შეინარჩუნა სასამართლო ხელისუფლების წინამძღოლობა. ეს ძალიან საგანგაშო ფაქტია, ძალიან. ეს არის წინაპირობა იმისა, რომ ეს კაციჭამიები, ახალაიები, მეგის ქარდავები, მერაბიშვილები და სხვები, ვინც მაგათთან ერთად არიან გარეულები ამ კაცთმოძულე საქმიანობაში, ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში, ეს წინაპირობაა მათდამი ასეთი დამოკიდებულებისა. არ არის გასაკვირი, რომ ეს ახალციხეში მოხდა და არ არის გასაკვირი, რომ ამის ავტორი არის პირდაპირ მსახური და მერაბიშვილის მხრიდან გამოსული კაცი, მე მას მოსამართლეს ნამდვილად ვერ დავუძახებ. მე მინდა, დავპირდე მასაც და კუბლაშვილსაც, ერთი დღე არ გავა ისეთი, რომ მათ თავი მშვიდად იგრძნონ, ერთი დღე არ ექნებათ მშვიდი არსებობის, იმიტომ რომ, ყველაზე დიდი დამნაშავეები არიან ისინი! ის ვინც სკამის ფეხით ძალადობს ადამიანზე, ამას გაუპატიურება არ ჰქვია, ამას ძალადობა და წამება ჰქვია და ის არის პირუტყვი, ის არის სახე დაკარგული არსება. ასეთი რამე, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ხდება სხვა ქვეყნებშიც, ვიცით სერიული მკვლელებიც, სერიული გამაუპატიურებლებიც, უამრავი ფაქტი არსებობს ამის, მაგრამ მაშინ, როცა სიმართლის სახელით, უმაღლესი ხელისუფლების სახელით, მანტიაში გახვეული არაკაცი, ბოროტმოქმედი ჩადის იმას, რაც ჩაიდინა ახალციხეში ამ არამზადამ და რასაც მფარველობს კუბლაშვილი და მაგის ე.წ. იუსტიციის საბჭო, ეს არის უკვე ყველა ზღვარს გადაცილებული ქმედება და, მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო მძიმე ქმედება, იმაზე უფრო მძიმე, ვიდრე იმ დამნაშავის. დამნაშავე თავისი დანაშაულებრივი ზრახვებით მოქმედებს და კუბლაშვილი და ძმანი მისნი, მოქმედებენ სიმართლის, უმაღლესი ჭეშმარიტების სახელით. ამიტომ მათი დანაშაული ხარისხობრივად უფრო მაღალია.

– ბატონო გოგა, რამდენად საგანგაშო სიგნალია, ხომ შეიძლება, ეს ტენდენცია გაგრძელდეს და დანარჩენებიც გამოუშვან.

– ამაზე საგანგაშო სიგნალი ამ თვეების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ეს კაცთმოძულე რეჟიმი დაემხო, ჩემთვის არ ყოფილა. ეს არის ყველაზე საგანგაშო სიგნალი. ამიტომ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ასე აქტიურად და ღიად დავუპირისპირდი ამას და შევახსენებ საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც მთლიანად მხარს ვუჭერ, რომ ძალიან დიდი ყურადღებით მოექცნენ ამ ფაქტს. ამის უყურადღებოდ დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, იმიტომ რომ, ამას საზოგადოება არ დატოვებს უყურადღებოდ. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც მე წარმოვადგენ. არავითარ შემთხვევაში ამ ხალხს ეს არ ეპატიება, არც კუბლაშვილს და არც იმ მოსამართლეს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო ახალციხეში. ეს ფაქტი არ დარჩება უყურადღებოდ. ჩვენ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციასაც გავმართავთ, ხვალ მივდივართ ბორჯომში, შემდეგ ჩავალთ ახალციხეში და ჩვენ ამ საქმეს ძალიან რეზონანსულს გავხდით, ყოველმიზეზგარეშე მოვთხოვთ პასუხს როგორც სასამართლო ხელისუფლებას, ასევე კითხვებს დავუსვამთ ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც მონაწილეობს ამ პროცესებში, იმიტომ რომ, თუ ის ხუთი კაციჭამია, ჩემი ღრმა რწმენით, ვინც ეს ძალადობა და წამება ჩაიდინა, მაშინ ეს კაცი ყოფილა ცილისმწამებელი. ან ისინი არიან მწამებლები, ან ეს არის ცილისმწამებელი. არ შეიძლება, ერთიც და მეორეც უდანაშაულო იყოს. ასეთი რამე შეუძლებელია. აბსოლუტურად უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა იმ ახალგაზრდა კაცმა, შეგნებულად არ მინდა, მისი გვარი დავასახელო, პრაქტიკულად, პირველი პრეცედენტი შექმნა საქართველოში იმისა, რომ საკუთარ ინტერესებზე მაღლა საზოგადოებრივი ინტერესი დააყენა. კარგად მიხვდა, რასთან აქვს საქმე და, მიუხედავად იმისა, მე მესმის, რა სირთულეები შეიძლება მოუტანოს მას ამ აღიარებამ, მის გარემოცვაში, ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, ახლობლებ-მეგობრებში, მან გმირობის ტოლფასი ნაბიჯი გადადგა. ნამდვილი გმირობის ტოლფასი. ამიტომ ამას ჩვენ უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ. ვპირდები იმ მოსამართლესაც და კუბლაშვილსაც, ნამდვილად ვპირდები, სამარის კარამდე მივყვები და ამ საქმეს არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ უყურადღებოდ და უპასუხოდ. არავითარ შემთხვევაში.

– რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, როდესაც არ არის დალაგებული სიტუაცია, მისმა განცხადებამ დიდი ქაოსი გამოიწვია საზოგადოებაში, როდესაც მან წასვლასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება. თქვენი დამოკიდებულება როგორია ამასთან დაკავშირებით?

– გაახაროს ღმერთმა! ეს არის პირველი პრეცედენტი და პირველი ადამიანი ჩემს პრაქტიკასა და პოლიტიკურ ისტორიაში, რომ ნებაყოფლობით აპირებს საკუთარი უმაღლესი თანამდებობიდან წასვლას. მადლობა ღმერთს და ღმერთმა ამრავლოს ასეთი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. აგერ ყველა მისი წინამორბედი, ლამის ზარბაზნების სროლამდე მივიდა საქმე იმდენად იყვნენ ჩაბღაუჭებულნი თავიანთ სკამებს. მე ვფიქრობ, რომ ეს რის ძალიან კარგი პრეცედენტი, მშვენიერი მაგალითი იმისა, როგორ უნდა ემსახურებოდეს ადამიანი ქვეყანას და არა იმსახურებდე ქვეყანას და ამსახურებდე საკუთარ თავზე, როგორც ამას სააკაშვილი, შევარდნაძე და მისი წინამორბედები აკეთებდნენ. ბუნებრივია, მშვენიერი მაგალითია და მხოლოდ მივესალმები ასეთ დამოკიდებულებას ძალაუფლებისადმი. ახლა როგორი ვითარებაა ქვეყანაში, მაგას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩაივლის, ვთქვათ, ეს ზაფხული და როგორ მოვა დრო, როდესაც ეს ბოროტმოქმედი მოსწყდება, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს, მე სააკაშვილს ვგულისხმობ. იმ დროისთვის უკვე ყველაფერი გამოჩნდება. მე ვფიქრობ, ამაში კარგის მეტს არაფერს არ უნდა ვხედავდეთ, ეს იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უდგებოდეს ძალაუფლებას ადამიანი. როგორ განხორციელდება, ამას დრო გვაჩვენებს. მე, ყოველ შემთხვევაში, ამ ნაბიჯს მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები და განსაკუთრებულ საფრთხეებსაც ვერ ვხედავ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ ვითარებაში, ეს ადამიანი წინაპირობით ამბობს ამას და ასევე წინაპირობებით უნდა იყოს გაანალიზებული ეს მისი ნათქვამი. განცალკევებულად იმ წინაპირობებისგან, რომელზეც ის საუბრობს, ამაზე მსჯელობა ნაკლებად არის გონივრული. ერთობლიობაში ეს ძალიან საინტერესო მიდგომაა, ძალიან ცივილიზებული. როდესაც თავის დროზე ივანიშვილი ლაპარაკობდა, ევროპას გავაკვირვებთ ჩვენი დემოკრატიითო, სულ მაინტერესებდა, რა იგულისხმებოდა ამის უკან. დღეს მე ვხედავ იმ ნაბიჯებს, რასაც ის დგავს და, ჩემი აზრით, გასაკვირი ნაბიჯებია და პირველ რიგში ევროპული ე.წ. დემოკრატიისთვის უნდა იყოს გასაკვირი, იმიტომ რომ, ის, რასაც დღეს დაემსგავსა დემოკრატია ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების გაგებით, ვფიქრობ, მას დემოკრატიასთან არაფერი საერთო აქვს. სულ არ მინდა ის პრინციპი და ის ღირებულება, რომლის მიხედვითაც მერაბიშვილი, ეს ჯალათი, ეს კაციჭამია, რომელშიც ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ახლა თქვენ გელაპარაკებით და დამტკიცება ამას არ სჭირდება. არც მსოფლიო საზოგადოებას სჭირდება დიდი მტკიცება, მთავარია, თვალები გაახილონ და დაინახონ, რა რეჟიმთან გვქონდა საქმე. ახლა ის ხალხი, ვინც დღეს მერაბიშვილს იცავს, ჩემთვის არიან ისეთივე გახრწნილი და დეგრადირებული ადამიანები, როგორიც მერაბიშვილია.

„ყველა პირი, ვინც ახალციხეში სასამართლოს შენობა დაზიანა, მკაცრად დაისჯება“

ახალციხეში სასამართლოს შენობის დაზიანების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით(ნივთის დაზიანება ან განადგურება)აღძრეს.

ინფორმაციას ამის შესახებ სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს. დამნაშავე პირების დასადგენად, ამ დროისათვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

„აღნიშნულ საქმეში მონაწილე ყველა პირი კანონის შესაბამისად, მკაცრად დაისჯება. გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მოგვიანებით ეცნობება“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ახალციხეში, სასამართლოს შენობას, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ცოცხები, კვერცხები და ქვები დაუშინეს. ბორჯომისა და ახალციხის მოსახლეობა, მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის ძალითაც, ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსი მამუკა ხვედელიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ნიუსპრესი

საქართველოში ყველაზე ხშირად თურქეთიდან ჩამოდიან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 2013 წლის ივნისის თვე საქართველოში, 490 575 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 25,2 %-ით მეტია. რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის ინტერვალს,დასახელებულ შუალედში, ჯამურმა რაოდენობამ 2 188 721 ვიზიტი შეადგინა, რაც 29,2%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 813 949 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 37%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 25,1%);

ბ) ტრანზიტი – 410 565 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 59%);

გ) სხვა – 964 207 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 44%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 23%).

2013 წლის ივნისში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+9,5%), აზერბაიჯანიდან (+14.2%), სომხეთიდან (+53,9%), რუსეთიდან (+51%) და უკრაინიდან (+63,4%) განხორციელდა. ასევე,ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან,საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, ივნისში გამოირჩევიან პოლონეთი, ჩეხეთი და იტალია (შესაბამისად 98%, 44% და 24%), შუა აზიის ქვეყნებიდან – უზბეკეთისა და ყაზახეთის (შესაბამისად 33% და 34%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები – 50% -იანი მატებით.

პირველი

„ბაჩო ახალაიას მალე გაამართლებენ“

შორენა გონგლაძე

ბაჩო ახალაიას ინტერესების დამცველი, გოგა ონიანი, დარწმუნებულია, რომ სასამართლო ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ გამამართლებელი განაჩენს გამოიტანს. ამის შესახებ ონიანმა ახალაიას პროცესის დასრულების შემდეგ „პირველი რადიოს" ეთერში სტუმრობისას განაცხადა.

გოგა ონიანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იქნება დამოუკიდებელი და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, ახალაიას გამართლება გარდაუვალია.

– ფაქტიურად, დადასტურებულია, რომ თუკი რაიმე სამართალთან გვექნება შეხება და სამართლიანობის პრინციპთან, აუცილებლად გამამართლებელი უნდა იყოს განაჩენი – აცხადებს ონიანი. გოგა ონიანი პროკურატურას ურჩევს, თავად გაიწვიოს წარდგენილი ბრალი უკან, რადგან მათ მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები უსაფუძვლოა, მოწმეთა ჩვენებები კი – ფალსიფიცირებული.

– პროკურატურას ვურჩევდი, ამდენი სისულელისა და მასხარაობის ფონზე, როგორც მინიმუმ, მოხსნან ბრალდება, პროკურატურის სახელს ნუ შებღალავენ და საზოგადოებას დასაცინად ნუ გაუხდიან საქმეს, – განაცხადა გოგა ონიანმა.

ახალაიას ადვოკატების ინფორმაციით, პროკურატურამ ახალაიას საქმეზე წარდგენილი მოწმეებიდან 49 საკუთარი სურვილით მოხსნა – ისინი რწმუნდებიან, რომ ყოველი მოწმე, რომელსაც სასამართლოზე თავში პირდაპირ ვერ ურტყამენ, მათ წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას, – აცხადებს ონიანი.

ბაჩო ახალაიას ადვოკატის მტკიცებით, ახალაიას საქმეზე ბრალდების მოწმე, რომელმაც რამდენიმე დღის წინ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მას ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ, გაუჩინარდა. ადვოკატის თქმით, მოწმეს მობილური ტელეფონი გათიშული აქვს და მისი ადგილსამყოფელი ამ დრომდე არავინ იცის.

შეგახსენებთ, რომ ბრალდების მოწმის საქმეზე რამდენიმე დღის წინ ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი საუბრობდა. მისი თქმით,

პროკურატურის მოწმე ლევან სუთიძე აძლევდა ჩვეულ დაზეპირებულ ჩვენებას სასამართლოს. როდესაც დასრულა, ადგა ადვოკატი გიორგი ონიანი და მიმართა მოწმეს:

– ბატონო ლევან, გახსოვთ თუ არა, რომ 10 ივნისს თქვენი ინიციატივით დაგვიკავშირდით და მობრძანდით ჩვენთან ოფისში, სადაც, თქვენი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მოგეყოლათ. გაფრთხილებთ, რომ უარყოფას აზრი არა აქვს, ვინაიდან ოფისის კამერები ყველაფერს იწერენ, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ყველაფერი ახსოვს და ამას არც უარყოფს. შემდეგ ადვოკატმა ჰკითხა:

– ადასტურებთ თუ არა იმ ფაქტს, რაც თქვენ მოგვიყევით ოფისში და იქნებ სასამართლოსაც განუმარტოთ, რა მოხდა.

მოწმე: – დიახ, მე რამდენიმე დღის განმავლობაში დამდევდა ოპერატიული მანქანა „შკოდა“, რამდენიმე დღის მერე ღამით გამიტაცეს შავი ჯიპით, წამიყვანეს წყნეთში, შემიყვანეს ტრასიდან 200 მეტრზე მეტი მოშორებით ტყეში, წამართვეს მობილური და მითხრეს, რომ ისინი გამახსენებდნენ, თუ რა უნდა მეთქვა ჩემს ჩვენებაში, დამემუქრნენ და დამტოვეს ტყეში. ეს პირები არ ჰგავდნენ პროკურატურის თანამშრომლებს, უფრო ჰგავდნენ სამხედრო პოლიციელებს, – აცხადებდა ანი ნადარეიშვილი.

თუმცა პროკურორმა შაქრო ზაალიშვილმა „ლეგენდა“ უწოდა ბრალდებულ ბაჩო ახალაიას ადვოკატების განცხადებას იმის შესახებ, რომ ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ პროცესზე ადრე მიცემული ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ იგი ზეწოლის შედეგად მისცა. როგორც პროკურორი აცხადებს, ის, რაც პროცესზე მოხდა, დაცვის მხარის მიერ მოფიქრებული ლეგენდაა.

– მოწმის ჩვენების მიხედვით, ლევან სუთიძე მისთვის უცნობმა პირებმა წაიყვანეს და ესაუბრებოდნენ, თუმცა აღნიშნულ საქმესთან კავშირი მოწმეს არ დაუდასტურებია.

თუ ლევან სუთიძეს მიაჩნია, რომ ეს იყო მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, შეუძლია, განცხადება შეიტანოს მთავარ პროკურატურაში და დაიწყოს გამოძიება. მე მოსამართლის შეკითხვაზეც განვმარტე და თქვენც განგიმარტავთ, რომ მის ნათქვამში დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავ. მოწმეს არ უთქვამს, რომ ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს სხვა მიმართულებით. მან თქვა, რომ უთხრეს, ვისაუბროთო, ისაუბრეს, შემდეგ კი უთხრეს, რომ წყნეთში ეჩქარებოდათ და სახლში თავად წასულიყო. სასამართლოზე მოწმემ სწორედ ასე განმარტა. სუთიძის მიერ მიცემული ჩვენება არ იძლევა დანაშაულის ნიშნებს. სასამართლოზეც განვმარტე და ახლაც ვამბობ, რომ აღნიშნულ მოწმეს დაცვის მხარის ადვოკატები წინასწარ შეხვდნენ და ეს ლეგენდა მოიფიქრეს. მათ ლევან სუთიძეს გაუკეთეს ჩანაწერი და დაარიგეს, რა უნდა ეთქვა პროცესზე. ამ ლეგენდით მოწმეზე მოახდინეს ზეწოლა. მე ვფიქრობ, სუთიძემ განცხადება უნდა დაწეროს, თუკი იგი მომხდარში დანაშაულის ნიშნებს ხედავს, – განმარტა პროკურორმა შაქრო ზაალიშვილმა.

ჟურნალისტების კითხვების საპასუხოდ, არის თუ არა საჯარო ინფორმაცია გამოძიების დაწყების საფუძველი, პროკურორმა განმარტა, რომ ეს იმ შემთხვევაშია საფუძველი, თუკი საგამოძიებო ორგანო მიიჩნევს, რომ მომხდარი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ახალაიას ადვოკატი მთავარი პროკურატურისგან მოითხოვს, დაიწყოს გამოძიება ბრალდების მხარის მოწმის, ლევან სუთიძის ჩვენებაზე. როგორც გოგა ონიანმა განაცხადა, ნებისმიერი საჯარო განცხადება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, არის საფუძველი, რომ გამოძიება დაიწყოს. ონიანი მოითხოვს, გამოძიებამ დაკითხოს ლევან სუთიძე, ასევე სპეცრაზმელი, რომელიც სუთიძეს წყნეთის ტყიდან ჩამოსვლაში დაეხმარა.

– არის კიდევ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. იმ სამხედრო პოლიციელების ვინაობის დადგენა ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს პროკურატურას. მე შემიძლია ვუკარნახო, როგორ უნდა ამოიღო ანძები და როგორ უნდა დაადგინო, რომელი თანამშრომელი იმყოფებოდა წყნეთის ტერიტორიაზე, მით უმეტეს, ეს ადამიანი აცხადებს, რომ წყნეთის ტყეში მისმა გამტაცებლებმა განახორციელეს ზარი. ეს იქნება ანძაზე დაფიქსირებული, – განაცხადა ონიანმა, – ეს არის 143 მუხლი. ეს არის საკმაოდ მძიმე დანაშაული და, სამწუხაროდ, პროკურატურა ამ ფაქტით არ დაინტერესებულა და გამოძიება არ დაწყებულა. ჩვენ ვეღარ ვახერხებთ ამ ადამიანთან დაკავშირებას. ამ ადამიანს ორივე ტელეფონი აქვს ბოლო დღეების მანძილზე გათიშული. სახლშიც არ იმყოფება და ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია და სად არის ეს ადამიანი, – განაცხადა ონიანმა.

გიორგი კობახიძე: „დღეს კონსტიტუციის ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაზე მორგება ხდება“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრის, გიორგი კობახიძის განცხადებით, დღეს, კონსტიტუციის ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაზე მორგება ხდება. ამის შესახებ კობახიძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

„უპირველეს ყოვლისა, „დემოკრატიული მოძრაობა“ მადლობას უხდის „ენდიაის“ და ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ისეთი ტიპის შეხვედრებს საქართველოში, როგორიც დღევანდელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა გახლდათ და ერთმნიშვნელოვნად ვაფიქსირებთ, რომ ჩვენი პარტია ყველა ამ ტიპის განხილვაში მიიღებს მონაწილეობას.

თუმცა, დღევანდელი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მმართველი ძალის მიერ, სამწუხაროდ, უკვე ტრადიციულად, გადაიქცა უბრალო ფორმალობად და „ნაცმოძრაობის“ საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებად, რაც ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც საკონსტიტუციო ცვლილებებია, საზოგადოების ჩართულობის ილუზიას ემსახურება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, ბოლო დროს განხორციელებული და დღის წესრიგში მდგარი ცვლილებებით ხდება კონსტიტუციის მორგება ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაზე და ემსახურება მათთვის საკანონმდებლო დისკომფორტების მოხსნას.

ქვეყნის კონსტიტუცია უნდა იყოს საერთო სახალხო კონსესუსის საგანი და ეს ჩვენთვის, „დემოკრატიული მოძრაობისათვის,“ ცარიელი სიტყვები არ არის. ჩვენთვის ეს სამოქმედო პრინციპი გახლავთ. „დემოკრატიული მოძრაობისათვის“ მიუღებელია ნაცმოძრაობის მეთოდებით კონსტიტუციასთან დამოკიდებულება და საზოგადოებრივი აზრის იგნორირება.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ყველა სუბიექტი აღიარებს, რომ კონსტიტუცია არსებით ცვლილებებს საჭიროებს, დღემდე არ შექმნილა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რისი პირობაც ახალმა ხელისუფლებამ არაერთგზის მისცა საზოგადოებას. ერთ-ერთი ბოლო მათგანი კი, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ, მაისში მოცემული დაპირება გახლდათ. გამოვყოფ ერთ-ერთ მთავარ დაგეგმილ ცვლილებას:

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის დაკავების შესაძლებლობის მიცემა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის, როგორიცაა პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე. ეს პირდაპირ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. არ შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი პირები, ამავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც იყვნენ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ დღევანდელი პროტესტი უნდა გახდეს საფუძველი ახალი ხელისუფლებისათვის, რომ გადავიდეს დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკურ კულტურაში დამკვიდრებული წესებითა და პრინციპებით ქვეყნის მართვაზე“ – განაცხადა კობახიძემ.

ნიუსპრესი

„ივანიშვილი მთავარ ოპოზიციად „რესპუბლიკელებს“ ამზადებს?“

პოლიტოლოგი გურამ შარია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და მიიჩნევს, რომ ივანიშვილი „რესპუბლიკელებს“ რაღაცისთვის ამზადებს. 3 ივლისს ქართული პრესისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს საინტერესო „წამოცდენა“ გამოუვიდა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ პოლიტიკური გვამი გახდება, ივანიშვილმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციის ადგილი თავისუფალი არ დარჩება და თავად სახელისუფლებო კოალიციას აქვს იმის პოტენციალი, რომ ოპოზიციის ნიშაც მასში შემავალმა პარტიებმა დაიკავონ.

ეს მოსაზრება ეხმიანება ივანიშვილის თავდაპირველ განცხადებებს, როცა ის ქართულ პოლიტიკაში აპირებდა შემოსვლას. მაშინ ბ-ნი ბიძინა ახსენებდა „შუაზე გაკრეფას“, ანუ მისი აზრით, პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ივანიშვილის კოალიცია და ნაციონალური მოძრაობა. ახლა კი „ლოგიკურად“ გამოდის, რომ თუ „ნაციონალები“ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო დასუსტდებიან და დაკარგავენ ოპოზიციის ადგილს, მაშინ ეს ნიშა თავად ბიძინას მოკავშირე პარტიამ ან პარტიებმა უნდა დაიკავონ.

ამგვარად, როგორც ჩანს, ივანიშვილი აპირებს არათუ ყველა სახელისუფლებო შტოს კონტროლს (საპრეზიდენტო არჩევნებზე „პლასტელინად“ თვითგამოცხადებული გ. მარგველაშვილის მხარდაჭერით), არამედ ოპოზიციის ადგილსაც საკუთარ კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის იმზადებს. ამით ბიძინა ივანიშვილი თვით საკაშვილის რეჟიმზე უფრო მეტად მონოპოლიზებულ პოლიტიკურ გარემოს შექმნას დაუდებს საფუძველს, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სასარგებლო დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის.

ასევე ეს ფაქტი არ იქნება კარგი აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისთვის და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს დაბალანსებისთვის. ძალზე საეჭვოა, რომ მოსახლეობაში თითქმის ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკელები“, ან თუნდაც ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, რომელთა შესვლა პარლამენტში მთლიანად ივანიშვილის რეიტინგის და მხარდაჭერის ხარჯზე მოხდა, შესძლებენ რეალური ოპოზიციის როლის შესრულებას საქართველოს პოლიტიკაში. ამ პარტიებს მხოლოდ დასავლეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერის იმედი შეიძლება, ჰქონდეს, რის სანაცვლოდაც აუცილებლად მოახდენენ იმგვარი თემების აქტუალიზებას მომავალში, როგორებიცაა ყბადაღებული „გეი-აღლუმების“ გამართვა, „ლგბტ-აქტივისტების“ მხარდაჭერა, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის გაუქმება და მრავალი სხვა. ეს თემები მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, მაგრამ მათ გატანას და დაკანონებას კიდევ უფრო აქტიურად შეეცდებიან. იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, აუცილებელია პოლიტიკური ოპოზიციის ნიშა, ან პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავოს იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ქართველი ხალხის წინაშე იქნებიან პასუხისმგებელი და მის ინტერესებს გაითვალისწინებენ.

დღეისათვის ამგვარი პოლიტიკური ძალის ყველაზე რეალურ კანდიდატად უდავოდ უნდა ჩაითვალოს ნინო ბურჯანაძე და მისი „დემოკრატიული მოძრაობა“. თუკი სწორედ ბურჯანაძე და არა „რესპუბლიკელები“ ან ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა, მაშინ ის მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების წინაშე იქნება პასუხისმგებელი და არა ცალკეული დასავლელი სპონსორების წინაშე. შესაბამისად, გამორიცხულია ნინო ბურჯანაძის მხრიდან იმგვარი თემების ლობირება და მხარდაჭერა, რომლებიც ძირს უთხრის ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს, ოჯახის ინსტიტუტს, საქართველოს ეკლესიას და ა.შ.

კიდევ უფრო მეტად იქნება ქართველი ხალხის ინტერესები გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, რომელიც საკაშვილივით კრიჭაში კი არ ჩაუდგება მინისტრთა კაბინეტს და აღმასრულებელ ხელისუფლებას, არამედ დაბალანსებს მას და ითანამშრომლებს პრემიერ-მინისტრთან საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. დღევანდელი სიტუაციით, ასეთ კანდიდატურას ისევდაისევ ნინო ბურჯანაძე წარმოადგენს. ბურჯანაძის არჩევა საბოლოოდ დაასრულებს ქართველი ხალხისთვის მიუღებელ და გარედან თავსმოხვეულ „კოჰაბიტაციის“ პროცესს, რეალური გახდება ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ამავე დროს, მთავრობის მუშაობას პარალიზება ან საბოტაჟი არ დაემუქრება პრეზიდენტის ხუშტურების გამო. თავად ივანიშვილის ინტერესებში უნდა იყოს მოვლენათა ამგვარი განვითარება, თუკი ის მართლაც მრავალპარტიული და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას გეგმავს საქართველოში.

გურამ შარია, პოლიტოლოგი.

პირველი

დავით უსუფაშვილი: „კონსტიტუცია სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს“

მეოცნებეები საკონსტიტუციო ცვლილებების სახალხო განხილვას იწყებენ

ნათია ხურცილავა

საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო „რედისონში“ მსჯელობა გაიმართა. პარლამენტის წევრებმა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებათა პაკეტზე იმსჯელეს. განხილვას არ დასწრებიან საპარლამენტო უმცირესობის წევრები.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც კონსტიტუციას ფუნდამენტურად გადახედავს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, კონსტიტუცია უნდა იყოს სტაბილური, გრძელვადიანი და ათწლეულებზე გათვლილ ცვლილებებს უნდა ამკვიდრებდეს.

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის მიერ მედიის წარმომადგენლებისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი საჯარო სხდომა დავით უსუფაშვილმა გახსნა.

უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ 1995 წლის კონსტიტუციაში დღემდე შესულია 30-მდე ცვლილება, 20 ცვლილება კი ბოლო 9-10 წლის განმავლობაში შევიდა და ბევრმა მათგანმა კონსტიტუცია სერიოზულად დააზარალა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მათი ამოცანაა, რომ ეს მდგომარეობა გამოასწორონ და კონსტიტუციაში ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელონ.

– უმრავლესობის მხრიდან მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ კონსტიტუცია სამ ეტაპად გაუმჯობესდეს. პირველი ორი ეტაპი არის გადაუდებელი ცვლილებების შეტანისა, მესამე კი – კონსტიტუციის ფუნდამენტური გადასინჯვა. პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა, როდესაც კენჭი ეყარა კონკრეტულ ცვლილებას, რომელიც პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობის დაბალანსებას ეხებოდა. ეს გადაუდებელი ცვლილება განხორციელდა უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ბოლო წამებში მიღწეული შეთანხმების შედეგად და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მეორე ეტაპი მიმდინარეობს დღეს, ხოლო მესამე ეტაპი ეს იქნება საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის შექმნა. მასზე პარლამენტი ივლისის განმავლობაში იმსჯელებს. შევქმნით კომისიას, რომელშიც არა მხოლოდ პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები, არამედ კვალიფიციური ჯგუფები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები შევლენ. ეს კომისია მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს და გათვლილი იქნება რამდენიმე ათწლიან პერსპექტივაზე და არა ვინმეს ცალმხრივ გემოვნებაზე, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, კომისიის დანიშნულება იქნება არა მხოლოდ სამართლებრივად უზრუნველყოფილი ტექსტის დაწერა, არამედ პარალელურად შეიქმნება კონსტიტუციის ცხოვრებაში დანერგვის სტრატეგიული დოკუმენტი.

უსუფაშვილმა იმ სამ საკონსტიტუციო ცვლილებაზეც ისაუბრა, რომლის განხილვა მიმდინარეობს. მისი თქმით, 2010 წელს შემუშავებული საკონსტიტუციო მოდელით, რომელიც ძალაში პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდგომ შედის, იგულისხმებოდა ძალაუფლების გადაცემა პრეზიდენტისგან პრემიერისთვის.

– აშკარაა, რომ 2010 წლის მოდელი სუპერ-საპრეზიდენტო სისტემიდან სუპერ-საპრემიეროზე გადასვლას გვთავაზობს, რაც სხვადასხვა შტოების დასუსტების ხარჯზე ხდება, ამიტომ ეს საკითხიც უნდა დაბალანსდეს და პრემიერს უპრეცედენტო უფლებები აღარ უნდა მიეცეს. მეორე ცვლილება ეხება ორმაგი მოქალაქეობის საკითხს და მესამე კი – კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭირო ქვორუმს. რაც გულისხმობს, რომ ქვორუმი დარჩეს 2/3, როგორც აქამდე იყო და არ გადავიდეს 3/4-ზე, ანუ კვლავ 100 ხმა, 114-ის ნაცვლად. ჩვენი მიდგომაა, რომ კონსტიტუცია კარგად უნდა ჩავკეტოთ და მისი ცვლილება ასეთი მარტივი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც კონსტიტუცია გასწორდება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

გავრცელებული ხმებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე უხელმძღვანელებს, თუმცა უსუფაშვილი უარყოფს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე იქნება.

– ვახტანგ ხმალაძეს ვერ დაგითმობთ ვერსად, პარლამენტში მჭირდება, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის შექმნაზე მსჯელობა მიმდინარე თვეში დაიწყება. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, კომისია მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში იფუნქციონირებს.

გუშინ გამართულ განხილვებს არ ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ისინი პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში აგრძელებენ ყოფნას.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საჯარო განხილვაზე „ნაციონალური მოძრაობის“ არდასწრება, სავარაუდოდ, პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმის გაგრძელებაა.

– წინა ცვლილებების განხილვის დროს რამდენიმე შემთხვევაში მოსახლეობასა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს შორის მწვავე დებატები იყო. ჩვენ „ენდიაისთან“ ერთად ყველა ზომა მივიღეთ წესრიგის უზრუნველსაყოფად. მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი განაცხადა განხილვის პროცესში მონაწილეობაზე, თუმცა ბოლოში ხმა მისცა იმ ცვლილებებს, რომლის განხილვაში მონაწილეობა მათ შეუძლებლად ჩათვალეს. არა მგონია, ამ შეხვედრაზე მათი არდასწრება იმით იყოს განპირობებული, რომ ისინი ჟურნალისტებისგან აგრესიას ელოდნენ. მე მგონია, რომ ყველა ჟურნალისტი მოთოკავს თავს ყველასთან მიმართებაში. ეს, ალბათ, იმ პროცესის გაგრძელებაა, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის მუშაობის ბოლო ეტაპზე გამოაცხადა, ანუ პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმი. ალბათ, ასეა. მე ამაზე პასუხი არ მაქვს. ეს საკითხი მომავალ კვირაში გაირკვევა, რადგან ოთხშაბათს, ალბათ, რიგგარეშე სესიას დავიწყებთ. ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ პროცესში მონაწილეობდეს და ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს. ამ ცვლილებების ოფიციალურ ინიცირებამდე მე მქონდა კონსულტაციები „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო წარმომადგენლობასთან, თუმცა მათ ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი, მისაღებია თუ არა ეს მათთვის, – განაცხადა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება დაანონსებულ კონსულტაციებს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერსა და პრემიერ-მინისტრს შორის, უსუფაშვილის თქმით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნამდე ეს კონსულტაციები აუცილებლად შედგება.

– ამ თემაზე საუბრები შედგება. ეს შესაძლოა, უახლოეს ხანებში განხორციელდეს და ჩვენ კონკრეტულ ნაბიჯებს ამის შემდეგ გადავდგამთ, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე იმედოვნებს, რომ

საპარლამენტო უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში ჩაერთვება.

სასტუმრო „რედისონში“ საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისია საკონსტიტუციო ცვლილებებს ჟურნალისტებს გააცნობს.

– დღეს ვიწყებთ საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვების კომისიის პირველ სხდომას. მედია-საშუალებებს გაეცნობა ის, თუ რას ვაპირებთ. ასევე დღესვე გვექნება შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან. პროცესი დაწყებულია და ივლისი ამ განხილვებს დაეთმობა, – განაცხადა სხდომის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზურაბ აბაშიძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრები ამ პროცესში ჩაერთვებიან, თუმცა აბაშიძის თქმით, მათი მხრიდან ჯერჯერობით პასუხი არ ყოფილა.

აბაშიძემ პრესას განუმარტა, რომ ამ ეტაპზე საუბარია სამ ცვლილებაზე.

– მომავალი წლიდან პრემიერ-მინისტრს განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, რომელსაც სააკაშვილი თავისთვის გეგმავდა და ეს ცვლილება უნდა განახორციელოს პარლამენტმა. უნდა დაბალანსოს მთავრობა. მეორე ცვლილება ეხება ორმაგი მოქალაქეობის საკითხს. თუ პარლამენტის წევრს შეუძლია, ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეს, რატომ არ შეიძლება ჰქონდეს პარლამენტის თავმჯდომარესაც, ასევე, თუ მინისტრი შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქეობის მცოდნე, რატომ არ შეიძლება ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრსაც და მესამე ცვლილება ეს არის კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭირო ქვორუმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2/3 უნდა დარჩეს და 3/4-ზე არ უნდა გადავიდეს, – განაცხადა აბაშიძემ.

ჟურნალისტებთან საჯარო განხილვის შემდეგ საჯარო განხილვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან გაიმართა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ დღეს თბილისში საკონსტიტუციო ცვლილებები სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან განიხილება. შემდეგ კი უკვე ცვლილებების განხილვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება.

გუშინ გამართულ სხდომას მცირეოდენი ინციდენტიც ახლდა. „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა.

როგორც პარტიის წევრმა გია კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, „დემოკრატიული მოძრაობისთვის“ მიუღებელია კონსტიტუციისადმი ის დამოკიდებულება, რასაც „ქართული ოცნება“ ამჟღავნებს.

– ეს დამოკიდებულება არის ასლი იმ დამოკიდებულებისა, რაც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მანამდე „მოქალაქეთა კავშირს“. ბუნებრივია, რომ ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა მოლოდინი, რომ ქვეყანა არსებითად შეიცვლებოდა. ეს ყველაფერი იწყება კონსტიტუციით. დღემდე არ არის შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და გამოდის, რომ ყველა ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს კონსტიტუციის ჯერ თავის თავზე მორგება და შემდეგ დანაპირებით ხალხის კვება. ეს არ არის სწორი. მაშინ გაკეთდეს ასეთი ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ ყველა ახალ ხელისუფლებას აქვს უფლება, კონსტიტუცია თავის თავზე მოირგოს და შემდეგ, როცა ხალხი მას თავიანთი სკამებიდან გაყრის, ამის შემდეგ დაიწყება ახალი ათვლა ქართულ წელთაღრიცხვაში. ეს დამოკიდებულება ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ვერ ვიქნებით, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის, ამა თუ იმ ხელისუფლების ზრახვების „გამპრავებელი“, – განაცხადა გია კობახიძემ.

„ახალი მემარჯვენეები“ ორმაგ მოქალაქეობასთან და საკონსტიტუციო ქვორუმის დაწევასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს არ ეთანხმებიან.

აღნიშნული განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ სხდომაზე გააკეთა.

კაციტაძის თქმით, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა აქამდე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნა. ასევე კაციტაძის თქმით, „ახალი მემარჯვენეები“ მიესალმებიან იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს და მათი ინიციატივაც იყო, რომ პრემიერ-მინისტრის უფლებები შემცირებულიყო, რომ პრემიერ-მინისტრს არ ჰქონოდა უფლება, პარლამენტის გვერდის ავლით კანონები მიეღო.

– ორ საკითხში საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ გავიზიარებთ, ეს საკონსტიტუციო უმრავლესობის მაჩვენებლის ქვევით დაწევა, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ქვორუმი 3/4 ტყუილად არ ყოფილა ჩაწერილი, რადგან არ უნდა იყოს გამუდმებით კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგების მცდელობა. ასევე, რაც მთავარია, არ ვეთანხმებით საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის თანახმადაც, ხდება ორმაგი მოქალაქეობის დაშვება პრეზიდენტისთვის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრისთვის. თეორიულად ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი საქართველოსთან ერთად, შეიძლება იყოს რუსეთის მოქალაქეც. რუსეთზე ყურადღებას იმისთვის ვამახვილებთ, რომ მასთან არ გვაქვს ჯანსაღი დამოკიდებულება. მიმაჩნია, რომ ეს არის ხიფათის შემცველი სახელმწიფოსთვის. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ცვლილებით, ივანიშვილისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი დისკომფორტი კომფორტში გადავზარდოთ და შემდეგ ეს ნორმა გამოვასწოროთ, მაშინ ეს კიდევ შეიძლება, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

საკონსტიტუციო განხილვას ესწრებოდა „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე.

– მიმაჩნია, რომ ძალიან ფრაგმენტული და ზედაპირული ცვლილებებია. ფუნდამენტური ხედვა იყო საჭირო, რომ ჩვენ ამ კონსტიტუციისთვის რევიზია გაგვეკეთებინა. „ქართული ოცნება“ დაგვპირდა, რომ ჯერ კიდევ თებერვალ-მარტში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნებოდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ შექმნილა. მიმაჩნია, რომ ყველაზე მთავარი არის პრემიერ-მინისტრის უნდობლობის საკითხის გამარტივება. თუ ეს თემა გამარტივდება, მაშინ დღეს წარმოდგენილი საკითხები საერთოდ დღის წესრიგიდან მოიხსნება. ამიტომ ბოლოდან კი არ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ თავიდან. ფორმატი საუბრისა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც არ შექმნილა. ბუნებრივია, ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ამ კონსტიტუციის ფუნდამენტურ რევიზიას ჯერჯერობით არ აპირებს. ამ კონსტიტუციაში პრობლემატურია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, რაც ძალიან რთულია, ანუ პარლამენტს მთავრობის დათხოვნა პრაქტიკულად არ შეუძლია. ეს თუ გამარტივდა, ყველა ის პრობლემა, რაც ახლაა წარმოდგენილი, თავისთავად მოგვარდება, – განაცხადა ვეფხვაძემ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გუშინ თავიანთი პოზიციები პრესასთან დააფიქსირეს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ გარკვეულ საკონსტიტუციო ცვლილებებს მიესალმება, ზოგთან მიმართებაში კი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

კოჟორიძის თქმით, ეს არის პარლამენტის 82 დეპუტატის მიერ ინიცირებული კანონპროექტი და საკონსტიტუციო ცვლილებების შექმნაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

– მე დღეს ვაკეთებ მხოლოდ პრეზენტაციას, თუ რას ცვლის ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. ეს გააკეთეს პარლამენტის წევრებმა და ზოგადად ვთვლი, რომ საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების შემდეგ პერიოდში, არამედ მანამდეც და ძალიან ცუდი იყო ის, რომ პარლამენტის წევრებმა თავად კანონპროექტზე მუშაობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ის წევრები არ ჩართეს, რომლებიც ამით დაინტერესებული არიან, – განაცხადა კოჟორიძემ.

კოჟორიძის თქმით, საია რიგ ცვლილებებს მიესალმება, თუმცა ზოგთან მიმართებაში უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

– ის, რომ პრემიერის უფლებამოსილება იზღუდება, მისასალმებელია, არც პრემიერს და არც მთავრობის რომელიმე შტოს იმაზე მეტი ძალაუფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც დაბალანსებისთვის არის საჭირო. უარყოფითად ვაფასებთ იმას, რომ სუსტდება პარლამენტის როლი საბიუჯეტო კანონპროექტის განხილვის პროცესში და ასევე უარყოფითად ვაფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რაც ქვორუმის 2/3-ზე დაბრუნებას ითვალისწინებს, – განაცხადა კოჟორიძემ.

რაც შეეხება ორმაგი მოქალაქეობის თემას, კოჟორიძის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საია-შიც აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ მან მკვეთრი პოზიციის დაფიქსირებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა.

– განხილვების შედეგად დამატებით არგუმენტაციას მოვისმენთ და მერე გახდება ჩვენი პოზიცია ცნობილი, – დასძინა კოჟორიძემ.

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარე:

– ცალსახად არის კონსტიტუცია შესაცვლელი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია უნდა შეიქმნას და გადახედილი იქნას კონსტიტუცია, რადგან კონსტიტუცია ცალსახად არის შესაცვლელი. ძალიან ბევრი ბუნდოვანი ნორმაა. განუსაზღვრელი უფლებამოსილება, რომელიც პრემიერს აქვს, მისი ცვლილება უნდა მოხდეს. ჩვენ ასევე უნდა დავფიქრდეთ კანდიდატზე, რომელიც პრეზიდენტი უნდა გახდეს ან პრემიერი, მის ორმაგ მოქალაქეობაზე. ვფიქრობ, იმ მოცემულობაში, რა მოცემულობაშიც საქართველო იმყოფება, მიზანშწონილი არ იქნება, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეს.

ბიძინა ჩხეიძე: „ოცნებები დაიმსხვრა!“

ეკა ირემაშვილი

კინორეჟისორი ბიძინა ჩხეიძე ქართულ კინოსამყაროში განვითარებულ ბოლო მოვლენებს ეხმაურება:

– საუბრის დასაწყისში შექსპირს მოვიშველიებ – იდეალები აღარ არსებობენ, ოცნებები დაიმსხვრა, რა ხდება ჩვენში ჩემო ჰორაციო, რაც ჩვენს დროში ფილოსოფოსებსაც ვერ აუხსნიათ?! (ჰამლეტი). ორიოდე დღის წინ ჩატარდა კინოკავშირში ყრილობა ახალი თავმჯდომარის ზაზა ურუშაძის მონაწილეობით კავშირის წევრობაში შესატან ცვლილებებზე, რაც სწრაფად და შეფერხების გარეშე იყო მიღებული, მაგრამ ერთი უცნაური გარემოება მოხდა ჩემთვის – დარბაზში ვინც ვისხედით, არადა დარბაზი სავსე იყო, ძირითადად ყველა 60 წლის ზევით.

– არ არიან ახალგაზრდები კინოკავშირის წევრები?

– მეც ამას ვკითხულობ. მართალია საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა, ჩვენ კი ამ გარდაცვლილ სხეულში აღმოვჩნდით ნახევრად ცოცხლები, სათანადოდ შეწყდა დაფინანსებაც, დაიხურა ვეებერთელა საბაზრო სივრცე, მაგრამ თეატრალური ინსტიტუტი ხომ მუშაობს, ყოველ წელს ხომ უშვებს ახალ კადრებს, მსახიობებს, რეჟისორებს, სცენარისტებს, პროდიუსერებს, მხატვრებს. 20 წლის მანძილზე 300 თუ 600 ადამიანი ხომ მაინც ეყოლებათ გამოშვებული, სად არიან ეს ადამიანები, რატომ არ არიან კავშირის წევრები?

– აუცილებელია იყო კინო კავშირის წევრი?

– ჩემში გაჩენილ უცნაურ კითხვას თვითონ ვცემ პასუხს, აღარ აინტერესებთ კავშირის წევრობა. ვინ ვართ ახლა ჩვენ თუ არა გვყავს ცვლა? ძველ დროში დარჩენილები, რომლებიც არავის სჭირდება. პირადად ჩემთვის ამ კავშირის ყრილობაზე გახდა ცნობილი, რომ სააქციო საზოგადოება, რომელიც აქამდე არსებობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელით და მისი აქციონერები ჩვენ ვიყავით, აღარ არსებობდა. თვითონ კინოსტუდია „ქართული ფილმი“, როგორც ქონება, მთლიანად მართვისთვის გადაეცა ქონების სამინისტროს. აირჩა 9 კაცი და მათ მიანდო ბორდში მუშაობა. კინოსტუდიამ სამი დირექტორი გამოიცვალა, ორი დღის წინათ დანიშნული დირექტორი მერაბ თავაძე გადაადგა და მის ადგილას დანიშნა ვინმე გელა ენდრიუ სული. ითქვა, რომ ის 22 წელი მუშაობდა ამერიკაში, მას სათანადოდ პატარა სტუდიაც აქვს, ის ჩვენ სულს ჩაგვიდგამს და გააცოცხლებს კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. რატომ დაინიშნა ასეთი მაცოცხლებელი ძალის მქონე კაცი კინოსტუდიის დირექტორად, როდესაც ის მხოლოდ შემსრულებელი უნდა იყოს. კინოსტუდია არის ფაბრიკა, რომელმაც ჩაშვებული ფილმების წარმოება უნდა განახორციელოს.

– ლევან ანჯაფარიძემ კინოცენტრს უნდობლობა გამოუცხადა. იზიარებთ მის მოსაზრებას?

– კინოცენტრის შექმნას მეც გაგებით შევხვდი. კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე ძალიან წარმტაცად ჟღერდა მისი დაარსება, ჩვენ ყველანი შეფარებული ვიყავით კინოსტუდიას და ყველაფერს წყვეტდა მამაჩემის ავტორიტეტი. ახლა გვეძლეოდა საშუალება, რომ თვითონ დავფრთიანებულიყავით, ეს არ იყო კომერციული ორგანიზაცია და საუკეთესო სცენარებში აირჩეოდა საუკეთესო. თუ ვინმე მოძებნიდა კერძო დაფინანსებას, მიეცემოდა ყოველგვარი ცენზის გარეშე გადაეღო ის, რაც უნდოდა, ამიტომ ბევრმა რეჟისორმა მას ნდობა გამოუცხადა. პირველ ხანებში მას სათავეში ჩაუდგა ელდარ შენგელაია, მერე კიდევ გამოიცვალა ხელმძღვანელობა, მათ შორის იყო ზაზა ურუშაძეც და მერე უკვე მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ბოლოს იყო პატარა ლამაზი გოგონა თამარ ტატიშვილი, პროფესიით იურისტი და კარგად ვხედავდი, რომ ამას მართავდა მინისტრი. დღეს რა ხდება? მისი ხელმძღვანელი არის ნანა ჯანელიძე. ის ასე უცებ ვერ დაალაგებდა იქ სიტუაციას და დღემდე მუშაობს კუბიკ-რუბიკის პრინციპით.

– ეს რას ნიშნავს?

– კუბიკ-რუბიკს ხომ ვინც ხანგრძლივად ატრიალებს, ის სვამს მისთვის სასურველ კომბინაციას? ასეა კინოცენტრშიც – წლების მანძილზე ის ხალხი ღებულობდა ფილმებზე დადებით პასუხს, ვინც ყველაზე მეტად არის ამ სისტემაში ჩართული ან დაახლოებული პირი იყო, უფრო ახლოს იყო კუბიკ-რუბიკთან და მგონია, რომ დღესაც ასეა. ნანა ჯანელიძე ტანკი არაა, რომ გადაევლო მათთვის, ეს არის უზარმაზარი ორგანიზაცია თავისი დაფინანსებით. საქმიანობით და ქმედებით ეროვნულ კინოცენტრში არაფერი შეცვლილა. კინოცენტრი ფრანგული მოდელიაო და რაღა ამერიკელს ნიშნავენ კინოსტუდიის დირექტორად? ფრანგული მოდელი ხომ ნიშნავს, რომ ის არ არის კომერციული ორგანიზაცია და სუფთა კინოხელოვნების ხელშეწყობისთვის არსებობს, სწორედ ეს კინოცენტრი არის მაკოორდინირებელი. საფრანგეთში ბევრი ქართველია მიშა კობახიძე, თემურ ბაბლუანი, გელა ბაბლუანი, ოთარ იოსელიანი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ კინოცენტრის შექმნაში, თუ გვინდა ფრანგული მოდელი შევინარჩუნოთ, მოვიწვიოთ ეს ადამიანები. პირადად ფრანგული მოდელისკენ უფრო ვიხრები, რადგან კომერცია საქართველოში ჯერჯერობით ოცნების დონეზეა. გოგა ხაინდრავა შესანიშნავი რეჟისორია და სად არის, რატომ ხმას არ იღებს ამის შესახებ? ვიცი, რომ „ქართულ ოცნებას“ მიესალმებოდა და მხარს უჭერდა. რატომ შიმშილობდა ჩვენი ლევან ანჯაფარიძე? მისი ერთი ფილმი „ორმაგი სახე“ უდრის მთელ კინოცენტრს. რატომ აიძულეს ეს კაცი ეშიმშილა? უნდა მოეკლათ აუცილებლად? თუმცა საქართველოში ნახევარი შიმშილობს და რა გასაკვირია, აღბათ ამასაც აღარ აქვს მნიშვნელობა. ვთქვათ, სცენარი არ მიიღეს, რამდენი ფილმია გადაღებული სწორედ დაწუნებული სცენარით?! რაც დაწუნებულია, იმაში ვერ დაინახეს სიახლე. კინო ხომ ფეხსაცმელი არ არის, რომ ერთნაირი შეკერო? კინო არის სიახლე. ლევანს ისეთი ფილმი აქვს გადაღებული, ცარიელი ფურცლები რომ წარადგინოს, ისიც კი უნდა დაუმტკიცოს ჟიურიმ.

– ეთანხმებით ლევან ანჯაფარიძის მოთხოვნებს?

– კონკურსი იმიტომ ტარდება, რომ გამოავლინოს საუკეთესო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იქ არ ხდება კამათი, მკვეთრი სჯა-ბაასი, ეს ლამაზი სათათბიროა.

– თქვენ რა იცით, დასწრებიხართ?

– ხომ ვგრძნობ საქმით. იქნებოდა იქ პიროვნული დაპირისპირებები და იქნებოდა იქ საუბარი აფხაზეთის თემაზე? განა იქ იქნებოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აზრზე და ღირსებებზე ლაპარაკი? არ იქნებოდა, იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ თვითონ არ გააჩნიათ ეს ღირსებები, რადგან საერთოდ ნივილირებულია დღეს ეს ღირსებები. იქ იქნებოდა ან მომწონს, ან არ მომწონს. არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ამაში. როდესაც ჟიურის წევრი თვითონ მონაწილეობს ამ კონკურსში და ხმა ეკუთვნის, თვითონ მალავს და არ გვეუბნებიან წევრი ვინ არის. პიროვნებამ, რომელიც თავის თავს მალავს, როგორ უნდა ილაპარაკოს იდეალებზე?

– ამას იმიტომ ხომ არ ლაპარაკობთ, რომ თქვენი სცენარიც დაწუნებულია ეროვნულ კინოცენტრში?

– ერთი და იგივე სცენარი სამჯერ თუ ოთხჯერ წარვადგინე. ბოლოს მითხრეს, ეს ერთი და იგივე ხომ არ არსო, ვუთხარი არა-მეთქი. სათაურებით რომ ჰგავსო, მომწონს ეს სათაური და იმიტომ ვარქმევ, გადავარქმევ-მეთქი. მართლაც გადავარქვი, სხვა სათაური დავარქვი, მაგრამ მიიღეს? არა!

– კულტურის სამინისტრო ლევან ანჯაფარიძის საჩივარს სწავლობს. გჯერათ, რომ ობიექტური დასკვნა დაიდება?

– შეიძლება ამ კომისიის წევრებიც ის ადამიანები იყვნენ, ვინც წარმართავს ამ პროცესებს. ეს კომისია არის თვალის ახვევის და დაშოშმინების საბაბი.

– მარტო ბატონ ლევანს ეყო ვაჟკაცობა, უნდობლობა გამოეცხადებინა კინოცენტრისთვის?

– როცა წინასწარ იცი, რომ არაფერი გამოვა, აღარც შიმშილს აქვს მნიშვნელობა და აღარც არაფერს. ლევანს ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა, ნებისყოფა, რომ ეს გაეკეთებინა. ჩვენ უიმედოდ შევხვდით ამ პროცესს, ვიცოდით, რომ ამ შიმშილს შედეგი არ ექნებოდა. ისეთი ღრუბელია ჩვენს თავზე, რომ ვერაფერი გაფანტავს, არაფერი გამოვა.

– აბა, რაში ხედავთ გამოსავალს?

– ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ქონების მართვის სამინისტროზე, კინოცენტრზე, ქართულ ფილმზე, ყველაფერზე უარი თქვას კაცმა, გადაიკიდოს მხარზე ვიდეოაპარატი და



თავის მეგობრებთან ერთად გადაიღოს ინდივიდუალური ფილმი, სადაც არ იქნება დეკორაციები და გრანდიოზული რაღაცები, რაც ფულს მოითხოვს. ძალიან მიჭირდა ასეთი საქმის ჩადენა, შეუძლებლად მიმაჩნდა პროფესიონალურ დონეზე რამის გაკეთება, მაგრამ ერთმა აპარატი მათხოვა, მეორემ – მანქანა, მესამემ რაღაც მათხოვა, შევაკოწიწეთ და ალექსანდრეს ბაღის შადრევანში ჩავედით მეც, როგორც მსახიობი, დანარჩენი მსახიობები და გადავიღეთ ფილმი.

– რა ჰქვია თქვენს ფილმს?

– „თეთრი წერტილი თეთრ ფურცელზე“. მთელი ფილმი გადაღებულია მხოლოდ ამ შადრევანში, 5 თუ 6 თვე ვიღებდით. მანამდე რეპეტიციები გვქონდა კინომსახიობთა თეატრში და უკვე მომზადებულები ჩავედით შადრევანში.

– როდის გეგმავთ პრემიერას?

– ალბათ შემოდგომაზე. უკვე გახმოვანება და მუსიკის დადება მიდის. ეს არის სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც მონაწილეობენ თამრიკო გორგასანიძე, დავით ცხვარაძე, ქეთი აბულაძე, ოთარ მიქელაძე, თემურ ხუციშვილი, ნოდარ ხუციშვილი, ასევე თქვენი მონა მორჩილი. ჩემი გმირი არის სკანდალური ფოტომოვაჭრე და ჰქვია ბიძინა ბიძია. მასში ყველა ვიღაცა სხვას ხედავს, მაგრამ ასე არ არის. თუმცა ეგონოთ ასე, ეს უფრო მეტ მნიშვნელობას მისცემს ფილმს.

– აპირებთ ფესტივალებზე გატანას?

– მთლად სრულყოფილი აპარატურით არ არის გადაღებული. ჩვენ რომ მხარში გვედგეს ჩვენივე კინოსტუდია, კინოცენტრი და აღვსილი იყვნენ შემართებით, ჩვენც თავგანწირვას გავაათმაგებდით და ათასჯერ მეტი ხარისხით გადავიღებდით ფილმებს. მთავარია ისინი თავისთვის არ იყვნენ და ჩვენთვის იყვნენ და ჩვენც მათთვის ვიყოთ.

– აპირებთ „ქართული ფილმის“ აქციების 1/3 დაიბრუნოთ?

– თავდაპირველად მისი ნომინალური ღირებულება 10 რუბლი იყო. მართალია, აღარაფერს აწარმოებდა „ქართული ფილმი“, მაგრამ გაკოტრება არ დაფიქსირებულა. ის ფაქტი, რომ აქციების 100 პროცენტი სახელმწიფოსია, ეს უსიტყვო გაკოტრებაა, რაც არ არის გამართლებული. ჩვენ არ ვიცოდით, რომ სახელმწიფო ყიდულობდა ჩვენს წილს, ეს ჩვენ ზაზა ურუშაძემ გვითხრა ყრილობაზე.

– არსებობს იურიდიული საფუძველი, რომ დაიბრუნოთ ეს 1/3?

– მგონია, რომ ამ პროცესში რაღაც დადებითიც არის. ერთად არის მთელი ქონება თავმოყრილი და ეს კარგია. თუ ოდესმე გაიხარებს ის ნერგი, რომელსაც კინოსტუდია ჰქვია, ასე ჯობია, ვიდრე ცალ-ცალკე გაფანტული ქონება. იმედით ვართ ყველა, ამბობენ, ბოლოს იმედი კვდებაო და ალბათ იმედთან ერთად ჩვენც მოვკვდებით ყველა. არავითარი შემოსავალი არ გააჩნია არც ერთ ძველ თანამშრომელს. ამ 30 წლის მანძილზე ნახევარზე მეტი ამქვეყნიდან წავიდა. ჩვენ ალბათ ისე ვართ, როგორც ომის ვეტერანები.

– ამას რატომ ამბობთ?

– კარლ მარქსმა ხომ დაწერა კომუნისტური პარტიის მანიფესტი? მართალია კომუნიზმი დასრულდა და მართლაც ძალიან კარგია, რომ დასრულდა, მაგრამ მანიფესტი მაინც მანიფესტია. ცოტაც და დღესაც ნებისმიერ ადამიანს გადაიყვანს თავის ჭკუაზე, ისეთი პათოსით არის დაწერილი. მამაჩემმა ერთხელ როგორღაც თქვა, კაცმა ფილმი ისე უნდა გადაიღო, რომ ის შენი ერის მანიფესტი იყოსო. ვფიქრობ, რომ ეს შესანიშნავად არის ნათქვამი. რომ ეთქვა, ფილმი ისე უნდა გადაიღო, რომ ის შენი ცხოვრების მრწამსი იყოსო, არ იქნებოდა იგივე მნიშვნელობის. მრწამსი მრწამსია და მანიფესტი – მანიფესტი. მანიფესტში ჩადებული საბრძოლო პათოსი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პათოსს ნიშნავს. რა გვაქვს დღეს საბრძოლველი? კომუნიზმი ავაშენეთ, დამოუკიდებელი საქართველო მოვიპოვეთ და კაპიტალიზმის შენებას შევუდექით. წარსული აწმყოს დასაწყისიაო, ამიტომ მინდა ჩემს პირველ ფილმზე გიამბოთ, რომელსაც „ბენზინის ჩამსხმელი“ ერქვა და ის ერთ ბიჭუნაზე მოგვითხრობს, რომელიც მანქანებში ბენზინის ნაცვლად ასხამს წყაროს წყალს, მანქანებიც ღუღუნით მიდიან და შინ მსხდომი ხალხიც სითბოთი და ღიმილით იწყებს ცხოვრებას. მაგრამ ამ ბიჭს აპატიმრებენ, რადგან სხვა ბენზინის ჩამსხმელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. ჩემი ფილმი საკავშირო ეკრანზეც მიიღეს, ძალიანაც მოეწონათ და ერთი რამ მითხრეს, ეს ყველაფერი ნამდვილ ცხოვრებას ჰგავს და ზედ უნდა დაეწერო, რომ ეს ზღაპარიაო. მართლაც ასე მოვიქეცი და შემდგომშიც, რასაც ვიღებდი, ვაწერდი და ვაწერდი, რომ ეს ყველაფერი ზღაპარი იყო, გადავიღე „მეშუქურე“, „მჭედელი“, „ზმანებები აღლუმებს შორის“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩემი შემოქმედება წარსულს ჩაბარდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა და კინომ თავისი მოღვაწეობა დროებით ამოწურა.

– ეს კარგია თუ ცუდი?

– რა თქმა უნდა, კარგია, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, მაგრამ უტვინოდ დაიშალა. მაშინ მამაჩემი დარჩა კინოსტუდიის ამარა, რომელსაც მოსკოვი აღარ აფინანსებდა და საქართველოს უნდა დაეფინანსებინა, მაგრამ საკმაოდ მწირი ფინანსები იყო. მამაჩემმა გარბაჩოვსაც კი გაუგზავნა წერილი, ჩვენ რომ ვიქცეთ მოწინავე სტუდიად, შევძლოთ გავუტოლდეთ უცხოურ კინოსტუდიებს და ვიყოთ კონკურენტუნარიანი, ამდენი და ამდენი თანხა გვჭირდება. ის ღრმად იყო დარწმუნებული, საბჭოთა კავშირი იმიტომ იშლებოდა, რომ ჩვენ მოგვცემოდა შემოქმედების უნარი. არადა, საბჭოთა კავშირი იმიტომ იშლებოდა, რომ ის უკვე სულს ღაფავდა. მამაჩემის წერილს არანაირი შედეგი არ მოყვა. ამის სანაცვლოდ მამაჩემმა, იმ პატარა თანხებით, რაც შემორჩენილი იყო და წარმოებაში ვიყავით ჩაშვებული და თანხებიც ირიცხებოდა ბანკში, ყველას დაგვადებინა პატარ-პატარა თანხები და დაიწყო კინოსტუდიის ეზოში ეკლესიის მშენებლობა. მე კი მეგონა, სჯობდა რაღაც აპარატურა ეყიდა, რომ იმით მერე ფილმები გადაგვეღო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაგვეუმჯობესებინა. სამ მუშკეტერში რი შელიე ამბობს, რომ ჯერ საფრანგეთი და მერე სარწმუნოება!

– თქვენ ეს გამართლებულად მიგაჩნიათ?

– ეს აზრი ნამდვილად გამართლებულად მიმაჩნია.

– ანუ ჯერ კინოსტუდია და მერე ტაძარი?

– ჯერ უნდა ვიცოცხლოთ და მერე უნდა ავაშენოთ. კინოსტუდიის ხელმძღვანელობა არ იყო განწყობილი ბიზნესისთვის, ის სხვა ფიქრებით იყო განმსჭვალული, როგორც იყო მიჩვეული, ისე განაგრძობდა ცხოვრებას. ცდილობდა, კარგად და მიზნობრივად დაეხარჯა თანხები.

– რაც არ ჰქონდა, რა უნდა განეკარგა?

– რაც ჰქონდა, იმ თანხაზე მაქვს საუბარი. კინოსტუდიის ტერიტორიაზე გაქირავებული იყო ფართები, სახელმწიფომ კინოთეატრებიც კი გადასცა კინოსტუდიას. მას შეეძლო თანხების განაწილება, მაგრამ თვითონ რომ მოეპოვებინა თანხები, ამის უნარი არ გააჩნდა.

– ახლა მიდის მსჯელობა, რომ კინოთეატრები უნდა აღდგეს საქართველოში, ეს შესაძლებელია?

– ძალიან კარგი ინიციატივაა და თუკი განხორციელდება, მხოლოდ მივესალმები. რომ იცოდნენ, რომ რეზოს შვილი ვიყავი, ჩემთან მოდიოდნენ და მთავაზობდნენ ათასნაირ პროექტებს და ძალიან ბევრი იდეა გვქონდა. წავედი კიდევაც ბიზნესმენ თოფაძესთან, მაგრამ არც ერთი ჩვენი იდეა განხილული და განხორციელებული არ იქნა, ყველაფერი ნაადრევად მიიჩნიეს.

– ბატონი რეზო იყო ამაზე თანახმა?

– ჩვენ დამოუკიდებლად ვცდილობდით ამ იდეების განხორციელებას. კი იცოდა და საქმის კურსში იყო, მაგრამ თანხები იყო ყველგან საჭირო, რაც არ გაგვაჩნდა.

– ახალ დროში შეიძლებოდა წარმართულიყო კინოსტუდიის ბედი უკეთესად?

– ძნელი სათქმელია. როდესაც სოციალიზმს ვაშენებდით, ხდებოდა ნაციონალიზაცია, ხალხს თავის ქონებას ართმევდნენ, სოფლებში გოჭებს და ინდაურებს მიერეკებოდნენ კოლმეურნეობაში. ახლა კი, ახალ დროში შესაფერისად მეგონა, რომ განხორციელდებოდა ქმედებები, ხალხს დაუბრუნდებოდა ის ქონება, რაც სახელმწიფოს განკარგულებაში იყო. როცა კინოსტუდიას გადაეცა სამართავად საქართველოს კინოთეატრები, მაშინ გამოვედი წინადადებით, რომ ეს კინოთეატრები საკუთრებაში გადასცემოდათ რეჟისორებს. მართალია მაშინ ფილმები არ იყო და თავისი ფუნქციით ვერ დატვირთავდნენ, მაგრამ უხეშად რომ ვთქვათ, იქ ბაზარიც რომ გაეხსნათ, ხომ იმუშავებდა, მაინც კარგი იქნებოდა, თავს შეინახავდნენ. მერე, როცა კარგი დრო მოვიდოდა, ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა. მამაჩემი ამის სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდა, მას მიაჩნდა, რომ ჩვენ არ გვყავს ბიზნესმენები და როცა ყველაფერი დალაგდება, ბიზნესმენები გაჩნდებიან და კინოსტუდიაც გააქირავებს კინოთეატრებსო. მერე მქონდა წინადადება, რომ მიწა, რომელიც ჰექტრობით გვქონდა დიღომში, მოგვეყვანა ხილი და ბოსტნეული, მაგრამ ეს აზრიც დაიბლოკა, თავი ყველას პროფესიონალად მიაჩნდა და ვინ დაიწყებდა პომიდვრის და ვაშლის მოყვანას?

– იუკადრისეს?

– კი არ იუკადრისეს, თანადგომას ვერ ხედავდნენ ხელმძღვანელისგან. სამაგიეროდ, მამაჩემმა ყველა რეჟისორს გადასცა თავისი ფილმის საავტორო უფლება.

– ეს არ არის კარგი?

– ბევრის აზრით, ეს არ იყო მაინცდამაინც კარგი მოვლენა. მართალია იმ ფილმებით კინოსტუდია თავს ვერ შეინახავდა, მაგრამ ფილმსაცავს მაინც შევინახავდით და ის ფილმები, რაც ჩვენ გვქონდა, ისინი მაინც გადარჩებოდა.

– ის საცავი ხომ დაიწვა?

– კი, დაიწვა, მაგრამ იქ რომ ყოფილიყო ფილმები და თავი შეენახა ფილმების გაქირავებით, არ დაიწვებოდა, მომვლელიც ეყოლებოდა და დამცველიც. ამ თემაზე არასდროს მილაპარაკია, მაგრამ ეს ყველამ ვიცოდით. მამაჩემს პირველ რიგში ამ ყველაფრის დაცვა უნდოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით გამოვიდა. 10 წლის მორატორიუმი შემოიღეს კინოთეატრებზე და ამ წლებში იქაურობა პირწმინდად გაიძარცვა. ის ტექნიკაც აღარ ივარგებდა დღეს, მაგრამ შენარჩუნდებოდა მაინც. საბჭოთა დროს მას პირშიც ვეუბნებოდი, რომ ის არანაირად დირექტორი არ იყო და ეს თანამდებობა მის ფუნქციებში არ უნდა ყოფილიყო, სამაგიეროდ, იყო შეუდარებელი რედაქტორი. არაერთხელ დავსწრებივარ სამხატვრო საბჭოს სხდომას, როცა იქ გამოჩენილი ქართველი მწერლები იყვნენ, ხშირად მამაჩემს დაწუნებულ სცენარში ნიუანსი ყველასთვის მოუწონებია და მერე დრომაც დაამტკიცა, რომ ის მართალი იყო. მოსკოვშიც მიდიოდა და პატრონობდა ამ ფილმებს თავისი ძალით, ენერგიით და დეპუტატობით. საქართველო სწორედ ამით გახდა საოცარი ქართული ფილმების ნაკრების მფლობელი. ეს ფილმები სავსე იყო დისიდენტური სულით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა არსებულ საბჭოთა რეჟიმს.

ტორპედო ჟილინასთან განადგურდა, ქუთაისში ვისოლს შემოსწყრნენ

ტორპედო – ჟილინა 0:3

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი

0:1 მაიტანი (58), 0:2 პიხი (76), 0:3 მაიტანი (84)

ტორპედო: მიგინეიშვილი, ტაბატაძე, ზ.ჭელიძე, ჭანტურია, ჩიტეიშვილი, გიგაური, ცინცაძე, გოროზია (ტუღუში 64), ფირცხალავა (ფანცულაია 52), კუხიანიძე (კაპანაძე73), ბარაბაძე

ჟილინა: დუბრავკა, მაბუკა, პიაჩეკი, აკაკპო, ჩისეი, პეჩოვსკი, პიხი, მიხალიკი (ჟილაკი 73), პაური (სკვარკვა 87), ბელლო (კაჩერი 90), მაიტანი

ინციდენტით დასრულდა მატჩი. დაკავებულ იქნა რამდენიმე გულშემატკივარი, მათ შორის 12 და 14 წლის ბავშვები, რომლებიც უმოწყალოდ არიან ნაცემი. მართალია, გულშემატკივრები მალევე გაათავისუფლეს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პოლიციამ აშკარად გადაამეტა თავის უფლებებს. ეს იმიტომ, რომ ტრიბუნებზე, წესითა და რიგით, წესრიგის დამყარების უფლება სტიუარდებს აქვთ და იქ პოლიციას არაფერი ესაქმება, ყოველ შემთხვევაში, ევროპულ ქვეყნებში ასეა მიღებული.

გულშემატკივარსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მატჩის დასაწყისშივე დაიწყო, როდესაც გუნდის ფანკლუბმა მატჩის სანახაობრივად გალამაზება სცადა და სტადიონზე „ფაერ-შოუ“ მოაწყო.

ქუთაისელი გულშემატკივრების განცხადებით, პოლიციელები მათ მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ. რამდენიმე ქომაგს მიუთითეს, დაეტოვებინა სტადიონი, ზოგიც ძალით გაჰყავდათ სამართალდამცავებს და გაურკვეველი მისამართით მიჰყავდათ მანქანებით. განსაკუთრებული არეულობა და დაძაბულობა მაშინ დაიწყო, როდესაც პოლიციელებმა ერთ-ერთი გულშემატკივრისკენ ხელჯოხებით გაიწიეს და სტადიონიდან მიათრევდნენ, რომელსაც მთელი „ფანკლუბი“ გადაუდგა და სრული ქაოსი გამოიწვია ტრიბუნაზე.

„ჟილინას“ პირველი გოლის შემდეგ კი ქუთათური გულშემატკივრები „ტორპედოს“ მფლობელთა წინააღმდეგაც გამოხატავდნენ აგრესიას, პოლიციის გარდა, სტადიონზე სპეცრაზმელები გამოჩნდნენ და არეულობამ და დაძაბულობამ უფრო იმატა ტრიბუნაზე. სამართალდამცავების მოთხოვნას გულშემატკივრებს სტადიონი დაეტოვებინათ, ქუთაისელი ქომაგი არ დაემორჩილა და შეტაკება მოხდა. ფანები სკამებს ამტვრევდნენ და გაურკვეველი მისამართით ისროდნენ.

ეს ყველაფერი კი კლუბის მფლობელის, კომპანია „ვისოლის“ არასწორმა სატრანსფერო პოლიტიკამ გამოიწვია. ზედ ევროტურნირების წინ გუნდის სრულიად გაახალგაზრდავება სრული კრახის მომასწავებელია. კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ეს პროცესი ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისკენ არის მიზანმიმართული, მაგრამ სადავო საკითხია.

17 წლის ბავშვებს თამაში უწევთ 30 და მეტი ასაკის მქონე ჩამოყალიბებულ მამაკაცებთან, რომლებთანაც ჭიდილი რთულია. სწორედ ასე მოხდა ტორპედო-ჟილინას მატჩში. ნახევარი საათი „ეომა“ ახალგაზრდა ბიჭებით დაკომპლექტებულმა გუნდმა სლოვაკებს და შემდეგ ფარ-ხმალი დაყარა.

მატჩი არც თუ ისე მაღალ ტემპში დაიწყო. მალევე ქომაგებისგან გამხნეებულმა ქუთათურებმა, სათამაშო ინიციატივა ხელში ჩაიგდეს. ისინი ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც შეტევებში კარგად ერთვებოდა ვაჟა ტაბატაძე. ქუთაისელთა მორიგი შეტევა კვლავ ტაბატაძემ გაამწვავა, იგი სისწრაფის ხარჯზე სლოვაკ მცველებს გასცდა და საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ მორიგ მცველთან დუელისას წაიქცა. ქუთათურები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მატჩის ხორვატმა არბიტრმა ტაბატაძის წაქცევა სიმულაციად მიიჩნია და მას ყვითელი ბარათი აუფრიალა. არადა, პენალტს ჰგავდა.

ნელ-ნელა სლოვაკებმა შეძლეს თამაშის დაწყნარება. პირველი დარტყმაც მეტოქის კარისკენ სლოვაკებმა შეასრულეს. რობერტ პიხის საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული, მიგინეიშვილისთვის იოლი ნადავლი გამოდგა. სტუმრებმა აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთეს, თუმცა ბურთსაც აკონტროლებდნენ და თამაში მათთვის სასურველ ტემპში მიმდინარეობდა. სუსტად გამოიყურებოდა ტორპედოს დაცვის მარჯვენა ფლანგი, სადაც სლოვაკები თავისუფლად დანავარდობდნენ და რამდენჯერმე ჩაანწიდეს საჯარიმოში, იქ კი, ქუთაისელთა საბედნიეროდ, სლოვაკთა შემტევები ვერ ყოჩაღობდნენ.

„ტორპედო“ მონდომების ხარჯზე თამაშობდა – „ჯილინა“ კლასის. სლოვაკებს ფრეც სავსებით აკმაყოფილებდათ და თავსაც არ იკლავდნენ, თავის მხრივ, არ მეტოქეს აძლევდნენ რაიმე რეალურის შექმნას. ტრიბუნები 37-ე წუთზე გამოცოცხლდნენ, როდესაც გიორგი გოროზიამ კარიდან ოდნავ წინ გამოსული დუბრავკა შეამჩნია, ახალგაზრდა ქუთაისელმა ძლიერად და ოსტატურად დაარტყა და რომ არა მეკარის ოსტატობა, ალბათ, ანგარიში გაიხსნებოდა. ცოტა ხანში გიგაურის შორეულ დარტყმას ფირცხალავამ შეუცვალა მიმართულება და ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა სლოვაკთა კარს.

ტაიმის ბოლოს ბურთზე კონტროლი კვლავ სტუმრებმა დააწესეს. მათ ორჯერ შორიდანაც დაარტყეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიგინეიშვილმა აუღელვებლივ და მშვიდად ითამაშა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა ინიციატივით დაიწყო და ჯერ ტაბატაძეს, შემდეგ გიგაურს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, თუმცა ორივეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ამასობაში სტუმრებმა ისევ ტორპედოელთა მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს – მაბუკას ჩაწოდება და მაიტანის თავური – 0:1.

70-ე წუთზე ტუღუშმა გაისროლა შორიდან, ბურთი კარს ზემოდან გადასცდა. მალევე სტუმრებმა ისევ იაქტიურეს. მართალია, მაიტანის დარტყმა მიგინეიშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი ყველას პიხმა დაასწრო და 0:2.

84-ე წუთზე ანგარიში გამანადგურებელი გახდა. მაიტანის ზუსტი და გამოზომილი დარტყმა ტორპედოელთა კარის ბადეში აღმოჩნდა – 0:3.

89-ე წუთზე გათამაშებულ საჯარიმოს ფანცულაიას ოდნავ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა. 91-ე წუთზე სტუმრებს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, თუმცა ჯერ მიგინეიშვილმა ითამაშა კარგად, დამატებული ბურთი კი კარს ასცდა.

მოკლედ, „ვისოლის“ პროექტი წარუმატებლად დაიწყო და ეს ლოგიკურიც არის, უფრო უცნაური კი ის იყო, რომ მატჩამდე კლუბის ხელმძღვანელობაც და სამწვრთნელო შტაბიც შემდეგ ეტაპზე გასვლაზე რომ საუბრობდნენ, ნეტავ, რის იმედად?

მატჩის შემდეგ

ჟერარდ სარაგოსა მულეტი, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:

– სულ სამი კვირაა, რაც ერთად ვართ და, აქედან გამომდინარე, კარგი შედეგი ვერ ვაჩვენეთ. გოლის შემდეგ თამაში დავკარგეთ და ავირიეთ. დღეს წავაგეთ, მაგრამ ამით არაფერი დასრულებულა, დრო გვჭირდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ქუთაისელი ქომაგის გასახარებლად. მარცხენა ფლანგიდან ხშირად ხდებოდა ჩვენი კარის მიმართულებით სახიფათო შეტევების განხორციელება, მაგრამ ამას ერთ რომელიმე ფეხბურთელს ვერ დავაბრალებ, ეს მთლიანად გუნდის პრობლემაა. არ ვარ ის ადამიანი, ფეხბურთელმა შეცდომა დაუშვას და ის მაშინვე გამოვცვალო. ბარაბაძეს მთელი თამაშის განმავლობაში ორი მცველი კეტავდა, ერთი ტოგოს ნაკრების კაპიტანი იყო. მეორე ტაიმში გოლის გატანაზე ვფიქრობდით, ჯარიმა კარგად გავითამაშეთ, მაგრამ გიგაურმა ვერ შეძლო მომენტის გოლად გადაქცევა.

ადრიან გულა, ჟილინას მთავარი მწვრთნელი:

– ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი. ტექნიკურად ძლიერ მეტოქესთან გვქონდა საქმე, თან დასაწყისში ვიცოდით, უპირატესობა ექნებოდათ. პირველი ტაიმი ფრედ დავასრულეთ. თავდაპირველი ტაქტიკა არ შემიცვლია. საერთო ჯამში კი ადვილად გავართვით თავი და ღირსეულად გავიმარჯვეთ. მეტოქე გუნდიდან ორ ფეხბურთელს ტაბატაძეს და კუხიანიძეს გამოვარჩევდი, რომლებიც ხშირად გვიქმნიდნენ საფრთხეს.

ზემო იმერლებმა ჯუჯებთან ვერ ივარგეს

ჩიხურა – ვადუცი 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

ჩიხურა: სომხიშვილი, გ.დათუნაიშვილი, დეკანოიძე (ლომაშვილი 70), ჯიღაური, კაშია, კვასხვაძე (გოგოტიშვილი 10, ქიმაძე 37), ოდიკაძე, რეხვიაშვილი, ბეჭვაია, ჭელიძე, წინამძღვრიშვილი

ვადუცი: იელე, ბურგმაიერი (მილოშევიჩი, 50), პერგლი, სარა, ფოდერჰაუზერი, მაკოპი, შრუფი, ნოიმარი (შუტერი, 75), ბარონი (ჩიკონე, 86), პაკი, ჰასლერი

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. თამაშს თავისი ხელი აშკარად დაატყო თბილისურმა სიცხემ, რაც, სხვათა შორის, სტუმართა თავკაცმა ჯორჯო კონტინიმ აღნიშნა კიდეც. „მიხეილ მესხის“ ტრიბუნები, რა გასაკვირია, თითქმის ცარიელი იყო (ამასაც სიცხეს ნუ დავაბრალებთ) თუმცა იმერლების საქომაგოდ ხალხის გარკვეული რაოდენობა მაინც შეიკრიბა.

პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი გიორგი დათუნაიშვილს მატჩის დაწყებიდან ძალიან მალე შეექმნა. საჩხერელი ფეხბურთელი მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოს მისადგომებისკენ შეიწია და გაისროლა კიდეც, თუმცა მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს. მე-10 წუთისთვის სტუმრებმაც გამოაჩინეს ბრჭყალები. საკმაოდ ახლო მანძილიდან ტანმაღალი ფლანგის მოთამაშე პასკალ შრუფი დაემუქრა სომხიშვილის კარგას, მაგრამ მეკარე ჩინებულად გაისარჯა. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს იაპონელმა პაკმა მოსინჯა დარტყმა, თუმცა აზიელს მიზანმა უმტყუნა. 30-ე წუთზე დეკანოიძემ გაისროლა შორი მანძილიდან, თუმცა მეკარეს ბურთის ხელში აღება არ გასჭირვებია. ტაიმის მიწურულს სტუმრებმა კიდევ ერთხელ მიიტანეს იერიში იმერელთა კართან – ამჯერად ნიკოლას ჰასლერის დარტყმამ ვერ ივარგა.

თუ ვინმე შეხვედრის მეორე ნახევრისგან უფრო ლაღ თამაშს და, რაც მთავარია, გატანილ გოლებს ელოდა, გულნატკენი დარჩებოდა. შესვენების შემდეგ თამაში ძალიან უინტერესოდ განახლდა. კარგა ხნის უღიღაბო ბურთაობის შემდეგ, 66-ე წუთზე „ვადუცს“ კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა. მათიას ბარანის პასის შემდეგ პასკალ შრუფმა დაარტყა სომხიშვილის კარისკენ – ბურთმა მცირე მანძილით ჩაუარა ძელს 5 წუთში სტუმრებმა „ჩიხურას“ კარის ბადეც შეარხიეს, მაგრამ გვერდიდან მსაჯმა ალამი ასწია და თამაშგარე დააფიქსირა. 75-ეზე მასპინძლებმა დიდხანს ათამაშეს ბურთი მოედნის ცენტრთან და მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან. კარისკენ ჯიღაურმა დაარტყა, მაგრამ გოლი ვერც მაშინ ვიხილეთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ მათი დარტყმები ძირითადად დიდი მანძილით სცდებოდა კარს, რაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, სოსო ფრუიძემ საშემსრულებლო ოსტატობას დაუბრალა.

მეტი საინტერესო არც არაფერი მომხდარა. შეხვედრის ყაზახმა არბიტრმა ალექსანდერ გაუზერმა საფინალო სასტვენიც მისცა და ფრე დააფიქსირა.

„ჩიხურა“ საპასუხო მატჩს ლიხტენშტეინში ერთი კვირის შემდეგ გამართავს. სწორედ იქ გაირკვევა შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა.

მატჩის შემდეგ

სოსო ფრუიძე, ჩიხურას მწვრთნელი:

– ჩვენ გუშინაც ვისაუბრეთ ამაზე და ახლაც იმავეს ვიტყვი. ამ ეტაპისთვის, ფიზიკურ კონდიციებს რაც შეეხება, ცუდად არ გამოვიყურებით. მეტოქემ ფიზიკურად ნამდვილად ვერ დაგვჩაგრა. ეს შედეგი იქიდან გამომდინარე მივიღეთ, რომ ჩვენ თვითონ არ შეგვეძლო მომატება. ერთი კვირა გვაქვს დრო. ფიზიკურ კონდიციებს უნდა მოვუმატოთ. მიმაჩნია, რომ ბრძოლა შეიძლება, რადგან, ჩემი აზრით, ამ გუნდმა თავისი მაქსიმუმი აქ ითამაშა. იქ აუცილებლად უნდა წამოვიდნენ, შეგვიტიონ, გოლი გაგვიტანონ. მათ მოსაგები აქვთ. ჩვენც შესაბამის ტაქტიკას ავირჩევთ და ისე ვითამაშებთ იქ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ საპასუხო მატჩში კონტრშეტევებზე ააწყობთ თამაშს?

– ვნახოთ. მთავარია, რა კონდიციებში მივალთ იმ მატჩამდე, როგორ ვიმგზავრებთ. ამის მიხედვით გადავწყვეტთ ყველაფერს. ჩვენ გვქონდა მომენტები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაგვეტანა. როცა გუნდს უჭირს, ასეთი შემთხვევა უნდა გამოიყენოს. ერთი გოლიც რომ გასულიყო, სხვა თამაში წავიდოდა და, ვფიქრობ, მატჩს ჩვენ მოვიგებდით.

– გუნდში ახალ ფეხბურთელებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

– ამ ერთ კვირაში არაფერი არ მოხდება. პირიქით, კვასხვაძე გამოგვაკლდა (ტრავმა). თუ შემდეგ ეტაპზე გავედით, ვინმეს დამატება შეიძლება.

– კვასხვაძე შემდეგ მატჩში იქნება?

– დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, არ იქნება.

– გოგოტიშვილის შემოყვანასა და მალევე გაყვანას რა შეფასებას მისცემთ?

– გოგოტიშვილი ახალგაზრდა კაცია, რომელსაც პირველ ლიგაში ნორმალურ დონეზე აქვს ნათამაშები. შარშან ის ბოლნისში იყო. სწრაფი ფეხბურთელია. ვცდილობდით, რომ ფლანგიდან გამოგვეყენებინა. რაც ვთხოვე რომ გაეკეთებინა, იმას ვერ ასრულებდა და ამიტომ დავამატეთ ქიმაძე შუა ხაზში. იყო სიტუაცია, როცა შუა ხაზს ვაგებდით. ფორვარდი მაინც არ გვყავდა და ქიმაძის მოედანზე გამოჩენაც ამის გამო მოხდა. ამ შემადგენლობამ მხოლოდ მეორე თამაში ითამაშა. ყველაფერი იმის ბრალია, რომ ფიზიკურად არ გვქონდა გამწვავების საშუალება. ნამდვილად არ ვიყავით ისეთ დონეზე, რომ თამაში გაგვემწვავებინა. მთავარია, რა დონეზე მივალთ საპასუხო მატჩამდე, როგორ ვიმგზავრებთ. მგზავრობის პრობლემა არ არის, უბრალოდ 9-ში მივდივართ დილით და მთელ დღეს გზაში გავატარებთ. იმ დღეს ვერ ვივარჯიშებთ. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად არ ვიყავით მზად, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ თამაშის მოგება შეიძლებოდა. ყველაფერი მაინც საშემსრულებლო ოსტატობაზე დადის.

ჯორჯო კონტინი, ვადუცის მწვრთნელი:

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ თბილისში ძალიან ცხელა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ჩვენთვის, რადგან შვეიცარიასა და ლიხტენშტეინში ამ პერიოდში საკმაოდ გრილა. პირველი 15 წუთი გაგვიჭირდა, „ჩიხურა“ უფრო აგრესიულად თამაშობდა განსაკუთრებით კი შუა ხაზში გამოიყურებოდნენ კარგად, მაგრამ პირველი 20 წუთის შემდეგ ჩვენს ტაქტიკურ მონახაზს მივაგენით და გადავეწყვეთ. კონტრშეტევებზე კარგად ვთამაშობდით. კარგი მომენტები გვქონდა. მთლიანობაში, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ.

– მშვენიერ შედეგს მიაღწიეთ. რა შანსები გაქვთ საპასუხო მატჩში და როგორ ითამაშებთ?

– დღეს ერთი თავდამსხმელით ვითამაშეთ, იქ ორს გავიყვან მინდორზე. უფრო აგრესიული ტაქტიკა გვექნება. რაც ყველაზე მთავარია, გუნდი საკმაოდ კარგადაა მომზადებული და იმედი მაქვს, შემდეგ ეტაპზე გავალთ.

დავით ოდიკაძე:

– ახალი შეკრებილი გუნდი ვართ და პირველივე შეხვედრაში წარმატებას მიაღწიო, რთულია. ერთი კვირა წინ გვაქვს და მოვემზადებით მომავალი შეხვედრისთვის. გულშემატკივარს ვპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

ლევან კობიაშვილი: ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ასაკის მატებას, რა თქმა უნდა, ვგრძნობ. ნელ-ნელა ვხვდები, რომ კარიერა დასასრულისკენ მიდის, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და, სანამ შემიძლია, ფეხბურთის თამაშს არ შევწყვეტ, – ამბობს კობიაშვილი.

კობის „ჰერტასთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. თუმცა ხელშეკრულებაში პლუს ერთწლიანი პუნქტიცაა, ოღონდ ლევანმა ჯერ გასარკვევია, გაისად ისევ ფეხბურთელი იქნება თუ ბერლინურ კლუბში რამე თანამდებობაზე დასაქმდება.

კობიმ სპორტული მენეჯმენტის სწავლა დაიწყო, მწვრთნელობაზე კი ნაკლებად ფიქრობს:

– ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

მას მართლაც ისეთი კარიერა აქვს, რომ ფეხბურთიდან სამუდამოდ წასვლა ამთავითვე უნდა გამორიცხოს: მარტო გერმანიაში მას 422 ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული.

ყველაფერი 1998 წლის იანვარში დაიწყო, როცა თბილისის „დინამოში“ 17 წლის კობიაშვილის დებიუტი შედგა.

– ლევან კობიაშვილი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ თუ ნამდვილი პროფესიონალი ხარ და სერიოზულად ვარჯიშობ, ფეხბურთს მაღალ დონეზე 36 წლის ასაკშიც ითამაშებ, – ეს რიხარდ გოლცის სიტყვებია.

ლევანი თითქმის ყველა გუნდში მწვრთნელის მარჯვენა ხელი იყო – „ფრაიბურგში“, „შალკეში“, „ჰერტაში“... ბერლინელთა ამჟამინდელი მწვრთნელი იოს ლუჰუკაი ვარჯიშებზე უმეტესად კობიაშვილის მხარდამხარ დარბის ხოლმე.

– კობისთან ურთიერთობა დიდი სიამოვნებაა. ლევანი ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან ბევრ რამეს გამოხატავს! – ამბობს ლუჰუკაი.

როდესაც „ჰერტამ“ კობიაშვილს, შვიდთვიანი დისკვალიფიკაციის მიუხედავად, მაინც ახალი კონტრაქტი გაუფორმა, ლუჰუკაი, რომელიც იმ დროს ახალი მწვრთნელი იყო, ამ გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული არ ჩანდა, მაგრამ ბერლინელთა თავკაცმა ამ ერთ წელიწადში კობი კარგად გაიცნო და აზრიც შეიცვალა.

ლუჰუკაი ახლა კობიაშვილზე მხოლოდ დადებით კონტექსტში საუბრობს და, პროფესიონალიზმთან ერთად, ფიზიკურ კონდიციებსაც უქებს. ფაქტია, რომ დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ლუჰუკაი კობის თითქმის ყველა მატჩში ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა, ფეხბურთელისთვის კი ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

24-ე ტურის შემდეგ ლევანი მხოლოდ ერთხელ არ იყო სასტარტო შემადგენლობაში, რასაც ნახევარწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ თვითონაც არ ელოდა.

შესაბამისად, დიდი შანსია, რომ კობიმ პირველ ბუნდესლიგაშიც ხშირად ითამაშოს. მისი მიზანი ჯანმრთელობის შენარჩუნება და რამდენიმე მატჩის ჩატარებაა. დაცვის მარცხენა ფლანგისთვის „ჰერტამ“ 25 წლის იოჰანეს ვან დერ ბერგი დაიმატა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კი, სადაც ლუჰუკაიმ კობიაშვილი პირველ ტესტ-მატჩებში გაამწესა, ბერლინელებს 27 წლის ჰაიმე ჰოსოგაი დაემატათ...

– ვინ იცის, რომელ სიტუაციაში და რომელი პოზიციისთვის დავჭირდები მწვრთნელს. ფაქტია, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ვითამაშო. ჩემმა კონკურენტებმა კი უნდა იცოდნენ, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბევრი შრომა მოუწევთ, – ამბობს კობიაშვილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ავღანეთში აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა



12 ადამიანი დაიღუპა და ხუთი დაშავდა ავღანეთში, ურუზგანის პროვინციაში მომხდარი ტერორისტული აფეთქების შედეგად. ამის შესახებ „ეს-შიეითიდ პრესი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, თვითმკვლელმა ტერორისტმა აფეთქება პოლიციელების სასადილოში განახორციელა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის, აბდულა ჰიმეტის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხერხებით გაიარა თვითმკვლელმა ტერორისტმა პოლიციის სამი საგუშაგო და ინციდენტის ადგილას მიაღწია.

ასევე ავღანეთში პოლიციის ლეიტენანტი ქალი მოკლეს. ინციდენტი ჰელმანდის პროვინციაში მოხდა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლება ავრცელებს. ისლამ ბიბი 32 ქალისაგან შემდგარ პოლიციელი-ქალების ჯგუფის მეთაური იყო.

პოლიციის ლეიტენანტი ქალი რამდენიმე ბოროტმოქმედმა ჩაცხრილა. ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ქალის ნათესავები უკმაყოფილონი იყვნენ მისი სამსახურით. თავად ისლამ ბიბი ამბობდა, რომ მისი მამა და დები წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ მას სახლის ფარგლებს გარეთ ემუშავა, მისმა ძმამ კი ამის გამო მისი მკვლელობა რამდენჯერმე სცადა.

ბოლივიამ შესაძლოა ამერიკის საელჩო დახურონ

ბოლივიის პრეზიდენტი ივო მორალესი დაიმუქრა, რომ მის ქვეყანაში ამერიკის საელჩოს დახურავენ. პრეზიდენტმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ევროპის ქვეყნებმა მის თვითმფრინავს საჰაერო სივრცის გამოყენება აუკრძალეს.

აღნიშნულს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ლიდერების მკაცრი რეაქცია მოჰყვა, რომელთაც მორალესს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

შეგახსენებთ, რომ სამშაბათს პრეზიდენტის თვითმფრინავი იძულებით ვენაში დაფრინდა, რადგან ევროპის ქვეყნებმა მათი საჰაერო სივრცის გამოყენება აუკრძალეს. მორალესი სამშობლოში მოსკოვიდან მიფრინავდა-გაჩნდა ეჭვი, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი 29 წლის ედვარდ სნოუდენი იმყოფებოდა. თუმცა, ოფიციალური ვენას განცხადებით, სნოუდენი ბორტზე არ აღმოჩნდა.

მორალესმა ევროპის ქვეყნების ქმედებაში ამერიკა დაადანაშაულა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოგვიანებით ბოლივიელ კოლეგას დაურეკა და მომხდართან დაკავშირებით ბოდიში მოუხადა.

„ამერიკის საელჩოს დახურვაზე მე ხელი არ ამიკანკალდება. ჩვენ გაგვაჩნია ღირსება, სუვერენიტეტი. ამერიკის გარეშეც ჩვენ უკეთესები ვართ პოლიტიკურადაც და დემოკრატიულადაც“, – განაცხადა მორალესმა.

ხუან ევო მორალეს აიმა, ესპანეთის კოლონიზაციიდან მოყოლებული ბოლივიის პირველი ადგილობრივი მმართველია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ეგვიპტის არმია მშვიდობიან პროტესტს ხელს არ შეუშლის

ეგვიპტის არმიის განცხადებით, ისინი მშვიდობიანი პროტესტის ჩატარებას ხელს არ შეუშლიან.

ქვეყანაში ახალი საპროტესტო მოძრაობა დაიწყო, რომელიც გადაყენებული პრეზიდენტის მოჰამედ მურსის მხარდასაჭერად მიმდინარეობს. გასულ საღამოს, ქვეყნის დედაქალაქის ერთ-ერთ მოედანზე 10 ათას ადამიანზე მეტი შეიკრიბა. მომიტინგეები მუჰამედ მურსის პოსტზე დანრუნებას ითხოვენ.

მოედანზე მისასვლელები დაკეტილია. ეგვიპტის პოლიცია და არმია მომიტინგეებთან არავის უშვებს. მსგავსი მიტინგები გაიმართა ეგვიპტის სხვა ქალაქებშიც.

მურსის მხარდამჭერთა მასობრივ გამოსვლებს ქვეყანაში დღესაც ელოდებიან. ისლამისტური ძალების კავშირი მოსახლეობას მოუწოდებს ქუჩაში გამოვიდნენ და მოქმედი და სრულიად ლეგიტიმური რეჟიმის დამხობა გააპროტესტონ. „ძმები მუსლიმების“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალ რეჟიმთან თანამშრომლობას არ გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ არმიამ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის თანამდებობა დაატოვებინა. ეგვიპტის პრეზიდენტის მოვალეობას ახლა ადლი მაჰმუდ მანსური ასრულებს. მურსი ამ დროისათვის, მის თანაგუნდელებთან ერთად, პატიმრობაში იმყოფება.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, პარასკევს დილით ისლამისტი შეირაღებული მებრძოლების თავდასხმას ერთი სამხედრო ემსხვერპლა.

„ძმების მუსლიმების“ წარმომადგენელმა ჯეჰად ალ-ჰადადმა განაცხადა, რომ ისინი მთლიანად ეწინააღმდეგებიან სამხედრო გადატრიალებას და მურსის და სხვა დაკავებულების გათავისუფლებას მოითხოვენ.

შეგახსენებთ, რომ მურსის წინააღმდეგ გამოსვლები გასულ კვირას დაიწყო, მოსახლეობა ახალ პრეზიდენტს, სხვა საკითებთან ერთად, ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობშიც სდებდა ბრალს. კვირას დაწყებულ გამოსვლებს, არსებული ინფორმაციით, 50 ადამიანი ემსხვერპლა.

ნოდარ ხადური: „მერიის მაღალჩინოსნების საქმესთან დაკავშირებული გამოძიება გამჭვირვალე იქნება“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, თბილისის მერიის მაღალჩინოსნების საქმესთან დაკავშირებული გამოძიება უდავოდ ძალიან გამჭვირვალე იქნება და საზოგადოებას ექნება ინფორმაცია.

როგორც ჟურნალისტებს ნოდარ ხადურმა განუცხადა, გამოძიება გადაწყვეტს, რა ტიპის ინფორმაცია გასაჯაროვდება და რა არა.

„გამოძიება იქნება უდავოდ ძალიან გამჭვირვალე, საზოგადოებას ექნება ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოძიება კიდევ რამდენიმე საინტერესო კითხვაზე გასცემს პასუხს. ამის შემდეგ ბევრი ინფორმაცია იქნება საჯარო, გამოძიება გაასაჯაროებს ყველა ინფორმაციას და მერწმუნეთ, ძალიან ბევრი არ მოეწონებათ, მათ შორის მერიაში“, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

მისი თქმით, ადამიანები დაკითხვაზე კამერებთან ერთად არავის არ დაჰყავს, ამას ნაციონალური მოძრაობის წევრები აკეთებდნენ.

„ადამიანები დაკითხვაზე კამერებთან ერთად არავის არ დაჰყავს. ამას აკეთებდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები, როცა მოქალაქეებს ღამე უვარდებოდნენ სახლში და საცვლების ამარა აჩვენებდნენ მეუღლეებს საძინებელში. ჩვენ ასე არ ვიქცევით და არც მოვიქცევით. კამერა არ არის დაკითხვაზე ადამიანის მიყვანის საჭირო ატრიბუტი“, – აღნიშნა ხადურმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერია მათი თანამშრომლების აყვანის ამსახველი ვიდეო კადრების გავრცელებას ითხოვს. როგორც ცნობილია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით, თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარე დავით ავალიანი, თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი ალექსი თაბუაშვილი, მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე 28 ივნისს დააკავეს. ამასთან, თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი თავმჯდომარის, გიორგი საბანაძის მიმართ გამოტანილია დადგენილება, ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მერიის მაღალჩინოსნები, დაკავებისას დარღვევების გამო, ჯერ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა, რამდენიმე საათში კი მათ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

მედიანიუსი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხოგის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ პაციენტისგან ფარულად მის ულუფა საკვებში, წვენებში, წვნიანებში, წყალში ფხვნილის, ნაყენისა და წვენების სახით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა, ლამბლიოზი-ჭიები, ნაღვლის ბუშტის ანთება, ნაღვლის წვენის დისკინეზია, ნაღვლის ბუშტიდან შლაკებისა და წვრილი კენჭების გამოდევნა, გაუვალობა, შებერილობა, ღვიძლის გასუფთავება, ნაწლავების გაწმენდა მცენარეული, უსაფრთხო, ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, აღაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

ოთხშაბათი 8 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა" 17.00** "გურმანია" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ **"ნიკიტა" 23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ **"მ ნიშნავს ჰენლეპას"** (ნ.პორტმანი) **01.50** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მონრეალი" ტორონტო" **09.00** მხ/ფ **"პიკის საათი-3"** (კ. ტაკერი) **10.40** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ფლორენცია–ტოსკანა" **11.10** მხ/ფ **"თუ დედამიწა ურჩხულია"** (ჯ.ლოპესი) **13.00** დ/ფ "ადამიანის პლანეტა" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" I ნაწ. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: ,,თამარ გვერდწითელი" 1 ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"მაგნატები" 18.50** სერ. **"აპრძალული სიყვარული" 21.00** სერ. **"დაბრუნება" 4** სერ. **22.00** სერ. **"ლიკვიდაცია" 23.00** მხ/ფ. **"ბრძოლის წესები"** (ტ.ლი ჯორსი) **01.10** მხ/ფ. **"ბესრე ლებიონი"** (დ. საზერლენდი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"სრულების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ქალა" 22.00** ქართ. მხ/ფ "KEEP SMILING **ანუ გაინიმეთ" 00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფატერი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ **"ჯაიტნები" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსითი ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"შერკინლები" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - **"ულინკო ხინკიანდძის თავგადასავალი" 17.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.30** მოკ/ფ **"უსანელო უფლისცისნელი" 18.10** ტელეზღაპარი **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"აჟედანა და შენამდე" 20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამის ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.00** ერთსულოვნების სალონი

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **10.00** მხ/ფ **ეს ჰენტერა უმსოსი 12.00** მულტ/ფ დაკარგული სამეფოს საიდუმლო **14.30** მულტ/ფ ამერიკული კუდი **16.00** მხ/ფ **ლუსი 18.00** მულტ/ფ ნადმვილი გარფილდი **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მხ/ფ **კასპერი**

მაესტრო **7.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **11.00** კვირის აბები (გამ) **12.50, 22.20, 3.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "ბორომი" 18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ხუთშაბათი 11 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა" 17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "საფარი" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.30** მხ/ფ **"ბრძოლით შეპყრობილი"** (გ.პელტროუ) **02.10** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** "საგუმენტების დრო" **14.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **16.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **4** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) **14.40** ლამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"მაგნატები" 18.50** სერ. **"აპრძალული სიყვარული" 21.00** სერ. **"დაბრუნება" 5** სერ. **22.00** ფულთან თამაში **23.00** სერ. **"სტალინის ცოლი" 1** სერ. **01.15** მხ/ფ. **"კეთილი ჯოჯი"** (ა.საიფრედი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"სრულების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ქალა" 22.00** ნანუკას შოუ. **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ **"დანტეს პიკი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.40** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.20, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** სახარება ოთხთავის წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ-ედიშერ ჭელიძე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ისტორიის გაკვეთილი **15.55** კონცერტი - ნიკა რაჭველი **16.55** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა" 20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სახელი **22.25** მოთავარსარდალი -დავით აღმაშენებელი I ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამის ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კირიონ II" **00.15** საეკლესიო კალენდარი **00.45** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.00** ირაო

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **10.00** მხ/ფ **პოლიციელი და ნახევარი 12.00** მულტ/ფ პრინცესა და ბაყაყი **14.30** მხ/ფ **ექიმი ჯულიტლი 16.00** მულტ/ფ შერლოკ ჰოლმსი **18.00** მხ/ფ **ჰანიკო 21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მხ/ფ **დიდი რბოლა**

მაესტრო **7.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **11.00** ფარული კამერა **12.50** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) **16.00 სერიალი "ბორომი" 18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" (გამ)

პარასკევი 12 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა" 17.00** "საუკუნის პორტრეტები" **17.30** ეთნოგრაფიული ჩანახატები **18.00** დ/ფ "ისტორიის შექმნა" **19.05** ტ/სერ **"მაგდა ემი" 21.00** "აქცენტები" **22.00** ტ/სერ **"ნიკიტა" 23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"ფრიდა"** (ტიტ.) **02.40** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" **14.00** დ/ფ "ჰილიუდი" **16.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **5** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი" 11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი" 12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"მაგნატები" 18.50** სერ. **"აპრძალული სიყვარული" 21.00** სერ.**"დაბრუნება" 6** სერ. **22.00** სერ. **"სტალინის ცოლი" 3-4** სერ. **00.15** მხ/ფ. **"თავშესაფარი"** (ჯ.რ. მეიერსი) **02.10** მხ/ფ. **"მელანქოლია"** (შ.რემბლინგი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"სრულების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ქალა" 22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დოკ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" **07.15** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი I-II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **11.15** ისტორიის გაკვეთილი **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"აბრაჰი ივანე კოტორაშვილისა" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** საუბრები ლიტერატურაზე **16.15** კონცერტი - ანს."შვიდკაცა" **17.05** მთავარსარდალი -დავით აღმაშენებელი III - IV ნაწ. **18.10** ტელეზღაპარი **18.25** თბილისის ტაძრები - პეტრე-პავლეს სახ. ტაძარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ქალაქი ანარა" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამის ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე" **23.40** დრო და ადამიანები **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.00** ირაო

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **9.30** მულტ/სერ მისტერ ბინი **10.00** მულტ/ფ დელგო **12.00** მხ/ფ **ჯაშუში მეზობლად 14.30** მულტ/ფ ბარბი ბროლის სასახლე **16.00** მხ/ფ **ფლაბერი 18.00** მულტ/ფ დისნეი **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მხ/ფ **მისის დაუფუპირი**

მაესტრო **7.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **11.00** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **11.30, 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **12.50, 22.20, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "ბორომი" 18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე"**

შაბათი 13 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. მხ/ფ.**"აბარა დოლო" 10.00** საბ. ან/სერ "ზინგზილები" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **12.30** I არი წარმოგიდგენთ – ტანია მარია **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"გაალეთ" პოლიციისა! – 2"** (ფ.ნუარე) **16.30** ქართ. ტ/ფ **"ლოლიტა" 18.00** "ეტალონი" **19.00 "10/10" 20.35** "ახალი ქართული კინო" **21.00** მხ/ფ **"კომენდანტის საათი" 21.20** მხ/ფ **"დაღის ხმები"** (ჯ.ენისტონი) **23.10** მხ/ფ **"პრესტი ჟი"** (ჰ.ჯეკმანი)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **12.00** დ/ფ "სუფრაფისტები" **13.00** მხ/ფ **"ბაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმელით"** (ბ.რიშარი) **14.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "საბერძნეთი – კრეტა" **15.00** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **17.00** მხ/ფ **"ბაბილეული მსჯავნო, ბაიკეცი" 19.00** "ეპიცენტრი" **20.00** მხ/ფ**"ილგლიანი"** (ე.ბარნა) **22.00** ტ/სერ. **"ბანსიტი" 3** სერ. **23.00** მხ/ფ **"სიცოცხლის მტაცებლები"** (ტიტ.)(მ.რაიანი)

08.15 ან/ფ "ავატარი" **09.00** მხ/ფ. **"მიუზიკლი" სიყვარული" სარრტი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "სპანგებობი" **5** სერ. **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"სრნის შანსი" 1-2** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ეტალონია" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები" 18.50** სერ. **"აპრძალული სიყვარული" 21.00** სერ.**"დაბრუნება" 8** სერ. **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ. **"რევოლვერი"** (რ.ლიოტა) **02.00** მხ/ფ. **"ცუდი სიზმრები"** (პ.ჯრუსი) (ტიტ.)

08.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი"**09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბინზეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. **"სრულების გვირგვინი" 20.05** სერ. **"ერთგულების ქალა" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** "Latin Angels" **01.30** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი - ნანა სხირტლაძე "სვეტიცხოველი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.25, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჟალაჯი ანარა" 13.30** დოკ/ფ "მცხეთა" **14.00** ქრისტიანული სწავლება **14.10** სათავეებთან **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.10** კონცერტი - ჩვენებურები **16.45** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.10** დოკ/ფ "რწმენის აღორძინება" **17.50** ფოტოგალერეა **18.05, 21.05** პატრიარქის ქადაგება **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "სვეტიცხოველი" **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** საქართველო არის ესე - სვეტიცხოველი I-II ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამის ლოცვა **22.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** მხ/ფ **"ბიძაჩემ"**

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **9.30** მულტ/სერ მისტერ ბინი **10.00** მულტ/ფ **აბენტი ბაუშვები 12.50** მულტ/ფ ვუდი **14.20** მულტ/ფ ჩიბურაშკა **16.00** მხ/ფ **ფერიები 1 18.00** მულტ/ფ მონსტრების კორპორაცია **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მულტ/ფ მანქანები

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00** მულტფილმი **8.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"(გამ.) **11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **23.00, 2.30, 3.30** ფარული კამერა **6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"

ხუთშაბათი 14 ივლისი

08.00 დ/ფ " ფერების სამყარო" **09.00** საბ. ან/სერ. "ზინგზილები" **10.00** "ეტალონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: **"ოტელო" 14.45** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **15.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ქართ. მხ/ფ **"ბასიმეარში ვილაც იკდა" 18.15** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.00** ბიძინა კვირნაძის შემოქმედებითი საღამო **20.50** "უცნობი მუსიკა" **21.50** კონცერტი **22.00** მხ/ფ **"დაკავშნას არ საძირკვლი"** (კ.ზეტაფერ-ზი) **00.00** მხ/ფ **"იქ, სადაც მზეინარე მიედინება"** (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ "ჰოლიკუდი" **09.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** მხ/ფ **"მელნის გული"** (ჰ.მირენი) **11.50** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **12.20** მხ/ფ "სუპერმენის დაბრუნება" (ფანტასტიკა") **15.15** დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" **16.15** მხ/ფ **"ბაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება"** (ბ.რიშარი) **18.00** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ" **19.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – "ეკოზეფინ ბეიკერი" **20.00** მხ/ფ **"სასიკვდილო იარაღი-2"** (მ.გიბსონი) **22.00** ტ/სერ. **"ბანსიტი" 4** სერ. **23.00** მხ/ფ **"სპეში დიდ ქალაქში-2"** (სარა ჯ.პარკერი)

08.15 ან/ფ "ავატარი" **09.00** ქ.მხ/ფ. **"ვერის უბნის მელოდიები" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"სრნის შანსი" 3-4** სერ. **14.20** მხ/ფ. **"ბაყცეული პაბარაქალი" 17.40** იმედის გმირები **17.50** სერ. **"სასიფაიო კაპიტირი" 6** სერ. **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **00.00** იმედიატორი **01.30** დოკ/ფ "ურლეეი სამყარო"

08.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი"**09.30** შიშის ფატერი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **16.30** პრეფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **02.00** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩემი ბოშები" 13.15** ქრისტიანული ხელოვნება **13.45** დოკ/ფ "მე,ბაბუა ილიკო და ილარიონი" **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **18.50** ღია აუდიტორია **19.40** მხ/ფ **"არაჩვეულებრივი ბაბოფანა" 21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **23.00** საღამის ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.30** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"**

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **9.30** მულტ/სერ მისტერ ბინი **10.00** მულტ/ფ სკუბი დუ **12.00** მხ/ფ **მისტერ პოპარის პინგვინები 14.20** მულტ/ფ შეუდარებელი ბარბოკი **16.00** მხ/ფ **ფერიები 2 18.00** მულტ/ფ პოკახონტასი **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მულტ/ფ რიო

მაესტრო **7.00, 0.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კვირის კოლაჟი) **9.15, 18.45, 22.30, 4.30** "ღია კარის დღე" **10.00, 20.00, 1.30** ჩემი ქორწილი **11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე"** (გამ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **19.30, 23.30, 5.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **21.45, 0.30** კვირის აბები **2.30, 3.30, 6.30** ფარული კამერა

გადატრიალება ეგვიპტეში

საერთაშორისო საზოგადოება ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია

– ეგვიპტის არმიამ პრეზიდენტი მურსი დაამხო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“, – სამხედროებმა გააუქმეს კონსტიტუცია, თავად პრეზიდენტი კი შინაპატიმრობაში აიყვანეს.

მურსი პირველი ლიდერი გახლდათ, რომელიც მუბარაქის ავტორიტარული მმართველობის შემდეგ აირჩიეს. ხელისუფლებაში ის დემოკრატიული გზით მოვიდა.

– მურსიმ არჩევნებში პატიოსნად გაიმარჯვა, – იტყობინება ბი-ბი-სი, – თუმცა მისი მმართველობის მეთოდები, რბილად რომ ვთქვათ, დემოკრატიისაგან შორს იყო.

ეგვიპტის ახალ ხელმძღვანელს, რომელიც ისლამური პარტია „ძმები მუსლიმანების“ ლიდერია, დემოკრატია თავისებურად ესმოდა, სიტყვიერად ის პიროვნების თავისუფლებას აღიარებდა,

– ჩვენმა ხალხმა მუბარაქი იმიტომ დაამხო, რომ დემოკრატია სურს! – განაცხადა მურსიმ, – მე ხალხმა ამირჩია და მის დაკვეთას ვასრულებ!

თუმცა ეს ცარიელი სიტყვები გახლდათ. სინამდვილეში მურსი ქვეყანას ავტორიტარული მეთოდებით მართავდა. ოპონენტებთან დიალოგი ძალიან უჭირდა, სამაგიეროდ, თავისი უფლებების გაფართოებას ესწრაფვოდა. სწორედ მურსის ეკუთვნის კანონპროექტი, რომლის ძალითაც პრეზიდენტს „რევოლუციის დაცვისათვის“ პარლამენტის თანხმობის გარეშე ნებისმიერი განკარგულების გაცემის ნება ეძლეოდა. ამან ოპოზიცია აღაშფოთა. მან პრეზიდენტი ძალაუფლების უზურპაციაში დაადანაშაულა.

– მუბარაქის მმართველობის შემდეგ ეგვიპტეს მანდელას ტიპის ლიდერი სჭირდებოდა, მაგრამ ეგვიპტელებმა მურსი აირჩიეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“, – ამან მოვლენების სისხლიანი სცენარით განვითარება გამოიწვია.

ავტორიტარული ლიდერი, თანაც ისლამისტი, ძალის გამოყენებას არ მოერიდება. მურსიმაც ოპოზიციური მიტინგების დარბევა დაიწყო. პირველი სერიოზული შეტაკებები გასული წლის ოქტომბერში მოხდა. მაშინ მურსიმ პროტესტების ჩახშობა შეძლო, თუმცა, ცხადი იყო, რომ ეს დროებითია.

– ეგვიპტეში ხელისუფლების მიმართ უზარმაზარი უკმაყოფილება დაგროვდა. ახალი საპროტესტო ტალღაც გარდაუვალია, – წერდა ამერიკელი ექსპერტი ელის კრაკოვსკი, – ეგვიპტეს ქაოსი და სისხლისღვრა ემუქრება.

ახალი საპროტესტო ტალღა მიმდინარე წლის 30 ივნისს აზვირთდა. მას ბიძგი უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მანსურის განცხადებებმა მისცა. მანსურმა პრეზიდენტი ძალაუფლების უზურპაციასა და ქვეყნის ისლამიზაციაში დაადანაშაულა. მას ახალგაზრდების მოძრაობა „გამარუდმა“ დაუჭირა მხარი. დემონსტრაციებიც განახლდა. მურსის რეაქცია ძალზე მწვავე იყო:

– მოვუწოდებ ყველა ძალოვან სტრუქტურას, „ოპოზიციის“, უფრო სწორად, ბანდიტებისა და ხულიგნების თარეში ალაგმოს და ქვეყანაში სტაბილიზაცია უზრუნველყოს, – განაცხადა პრეზიდენტმა თავის სატელევიზიო მიმართვაში.

პოლიციამ ახალგაზრდები დაარბია. აღშფოთებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. პასუხად ოპოზიციონერთა მიტინგს მურსიმ თავისი მომხრეების მიტინგები დაუპირისპირა.

– ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ეგვიპტის ქალაქებში მურსის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ხელჩართული შეტაკებები გაიმართა. თავდაპირველად უცნობმა პირებმა ავტომატური იარაღიდან ოპოზიციონერებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ათიდან ოცამდე ადამიანი დაიღუპა. მომხდარში მურსის პარტია „ძმები მუსლიმანები“ დაადანაშაულეს. აღშფოთებულმა ხალხმა კაიროში არსებული პარტიის ოფისი დაარბია.

– დარბევები ეგვიპტის სხვა ქალაქებშიც დაიწყო, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ამ შეტაკებების შედეგად ოცდაათამდე ადამიანი დაიღუპა, ბევრი დაშავდა. ძალადობა არ ცხრებოდა. ეგვიპტეს ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა დაემუქრა. არმიის სარდალმა გენერალმა ალ-სისიმ პრეზიდენტს ულტიმატუმი წაუყენა:

– დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი ყველა ოპოზიციურ ძალასთან და ქვეყნის სულიერ ლიდერებთან. პრეზიდენტს ორმოცდარვა საათის ვაძლევ! წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედროები წესრიგს თავად დავამყარებთ!

ამ გამოსვლამ ოპოზიციონერები აღაფრთოვანა, მურსის მომხრეები კი, პირიქით, აღაშფოთა. „ეს პუტჩია!“ – აცხადებდნენ ისინი. პრეზიდენტმა კი თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა:

– მოვუწოდებ ყველა ძალოვან სტრუქტურას, თავისი მოვალეობა შეასრულოს და ქვეყანაში სტაბილურობა უზრუნველყოს! გენერლები კი, რომლებიც თავის თავზე მეტისმეტს იღებენ, საკადრისად დაისჯებიან!

პასუხად სამხედროებმა პრეზიდენტი დააპატიმრეს. თანახმად ოფიციალური განცხადებისა, მურსი შინაპატიმრობაში აიყვანეს. დამხობილი პრეზიდენტის მომხრეები ირწმუნებიან, რომ ის ყაზარმაში ჰყავთ გამომწყვდეული.

– მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება! – ამტკიცებენ ისინი.

საერთაშორისო საზოგადოება ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია. აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა და დიქტატორულ რეჟიმს მხარს არ დაუჭერს.

– თუკი ეგვიპტეში არ დამყარდება სტაბილურობა, არ ჩატარდება ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები, ჩვენ ეგვიპტის დახმარების მთელ პროგრამას შევაჩერებთ, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ეგვიპტეში მომხდარი ძალადობა დაგმეს გაეროს გენერალურმა მდივანმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ა.შ. თავის მხრივ, ეგვიპტის ლიბერალური ოპოზიციის ლიდერმა ალ-ბარადეიმ განაცხადა:

– ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, რამდენიმე წლის წინ დაწყებული რევოლუციური პროცესის კორექტირებას წარმოადგენს. პროგრამა, რომლითაც არმიის ზედა ფენა გამოვიდა, სტაბილურობის დამყარებასა და ვადამდელი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებს, ეს კი ეგვიპტელი ხალხი უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამება. ამ პროგრამის განხორციელება ჭეშმარიტად დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის აშენებას ნიშნავს!

ელის კრაკოვსკიმ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მურსიმ უდიდესი შეცდომები დაუშვა და ქვეყანა ქაოსამდე მიიყვანა. „შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს – ესაა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები“. კრაკოვსკიმ აღნიშნა, რომ არმია დღეს ერთადერთი ორგანიზებული ძალაა, რომელსაც ამის უზრუნველყოფა შეუძლია.

– სამხედროების ჩარევამ ეგვიპტე სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრისაგან იხსნა, – ამბობს კრაკოვსკი, – თუკი გენერალი ალ-სისი მართლაც შეასრულებს პირობას და ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს, მაშინ სამხედროების როლი შეიძლება დადებითად შევაფასოთ.

რუსი ეგვიპტოლოგი ელენე სუპონინა თვლის, რომ სამხედროების ჩარევამ ქვეყანა ფართომასშტაბიანი ქაოსისა და სისხლისღვრისაგან იხსნა, თუმცა შეცდომაა იმისი ფიქრი, რომ არმია ეგვიპტის მომავალ ლიდერს წარმოშობს.

– წავიდა ის დრო, როცა სამხედროებს პოლიტიკაში წამყვანი როლის თამაში შეეძლოთ, – განაცხადა სუპონინამ რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში, – დღევანდელი პოლიტიკური ვითარება სულ სხვაა, ვიდრე ეს გასული საუკუნის 70-80-იან წლებში იყო. დღეს ეგვიპტური საზოგადოება სამხედრო მმართველობას არ მიიღებს, როგორ პროგრესული ლოზუნგებითაც არ უნდა გამოვიდნენ პოლიტიკაში მოსვლის წყურვილით შეპყრობილი გენერლები.

სუპონინა აღნიშნავს, რომ დღეს ეგვიპტეში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა. საზოგადოება ორადაა გაყოფილი. დამხობილი პრეზიდენტი მურსი და მისი პარტია მოსახლეობის ერთ ნაწილში კვლავაც პოპულარობით სარგებლობს, მეორე ნაწილს კი, პირიქით, მურსის სახელის გაგონებაც არ სურს.

– თანაფარდობა ორმოცდაათი ორმოცდაათზეა, – თვლის სუპონინა, – ასე რომ, ისლამისტების პოლიტიკური სარბიელიდან განდევნა ვერ მოხერხდება. ამას გარდა, არც ისლამისტებს, არც სამხედროებს, არც ლიბერალებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული პროგრამა არ გააჩნიათ! ყველაფერი ეს, პლუს საზოგადოების პოლარიზაცია, ქვეყანაზე მტკივნეულად აისახება.

ამრიგად, მურსი დაამხეს. პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შესრულება მანსურს დაეკისრა. წინაა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. შფოთი ეგვიპტეში გრძელდება.

ნიკა თევზაძე

სამგლოვიარო განცხადებები

დიდი დიღმის, პეტრიწის 10-ში მცხოვრები მეზობლები თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს

გიორგი (ჟორა) ენუქიძის

გარდაცვალების გამო.

საწარმოო გაერთიანება „ორიონის“ ყოფილი ხელმძღვანელობა და კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გაერთიანების საწარმოო განყოფილების ყოფილი უფროსი, მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი და ხელმძღვანელი, შესანიშნავი მოქალაქე, ერთგული მეგობარი

ბადრი ცაგარეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 7, 8 ივლისს.

დაკრძალვა: 9 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: მუხიანის დასახლება, IVა მიკრორაიონი, კორპუსი I.

ცაგარეიშვილთა საგვარეულო კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება კავშირის აქტიური წევრის, კეთილშობილი პიროვნების

ბადრი ცაგარეიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება თანაუგრძნობს ბატონ ჯონი ჯანაშიას დედის, ქალბატონი

დოდო კვირტია-ჯანაშიას

გარდაცვალების გამო.

რუსიკო გაბილაია შვილებით – გოგი, დათო გახოკიძეებით თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ვენერა ნოდიასა და მარინე ქვათაძეს მეუღლისა და მამის

კორნელი ქვათაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნიღბიანმა პირმა „საქართველოს ბანკის“ დიღმის ფილიალი დააყაჩაღა

გუშინ დილით „საქართველოს ბანკის“ დიღმის ფილიალი ერთმა ნიღბიანმა პირმა დააყაჩაღა.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს ბანკის წარმომადგენელმა ხათუნა კაკაბაძემ განუცხადა, წაღებულია თანხის მიზერული რაოდენობა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება.

კაკაბაძის ინფორმაციით, საქართველოს ბანკი“ უახლოეს პერიოდში უსაფრთხოების მიზნით ბანკის ახალი თავდაცვის სისტემით აღჭურვას გეგმავს, რაც სამართალდამცავებს 100 პროცენტით გაუადვილებს ცხელ კვალზე დამნაშავის იდენტიფიცირებას.

მედიანიუსი

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. ნავსადგური, კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 3. არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი; 4. ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 16. ცხოველთა დასაჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. თიხისა და თაბაშირის გამოწვის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალა.

თარაზულად: 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აბორიგენი მოსახლეობა; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთში; 9. მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ყურის ანთება; 13. მოკლე შარვალი; 15. ჯინის განსაზავებელი უალკოჰოლო-გაზიანი სასმელი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული ვაშლის ღვინო; 22. მდგომარეობა კრივში; 23. თანამედროვე მოთხოვნილებისა და გემოვნების შესაფერისი რამ.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაყვალი; 2. აბიო; 3. კოლიე; 4. დრაივი; 6. „სხიპჰოლი“; 9. ლესოტო; 13. სარქალი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. კოალა; 18. გორდი; 20. „სონი“.

თარაზულად: 1. მთავარი; 5. ვუდსი; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. ლობიო; 11. იფქლი; 12. მასინე; 16. ბაცილა; 17. კონგო; 19. რახი; 21. თოხანი; 22. ოლანდი; 23. კაჭიჭი; 24. გინესი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. ბენეფისი; 4. ვილაიეთი; 7. ბოგდიხანი; 8. კლაქსონი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ხანჩალი; 19. ლიდო; 20. სარი.

თარაზულად: 5. საქაროზა; 6. ედელვაისი; 9. „სულიკო“; 10. მესეფი; 11. „დაფნე“; 13. „ბასფი“; 15. ჯოყოლა; 18. რომბი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. კონიაკი.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6541	ევრო — 2,1432
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5207	100 რუსული რუბლი — 4,9792

ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის

მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

სერია „ეს სამყაროა“ „ახალ თაობასთან“ ერთად

ბამოგონებები	რაინდები და ციხე-კოშკები	მწერები და ობობები	მფრინავები	ოკეანეები	პოლარული სამყარო	რეპტილიები	ტროპიკული ტყეები	ზვიგენები

9 ივლისიდან!

ლეგენდარული „მგლის ბილიკი“ „ახალ თაობასთან“ ერთად

ასტროპროგნოზი

6 ივლისი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა იხსნება. **კურო** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – ეს დღე კვალიფიკაციის ასამაღლებლად საუკეთესოა, იფიქრეთ ამაზე. **ლომი** – ახალი ნაცნობობა მოგეწონებათ და დაგაფიქრებთ კიდეც. **ქალწული** – კარგ საქმეს აკეთებთ, განაგრძეთ. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ხართ და გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – პრობლემა გაქვთ, მაგრამ მალე მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – დღის მანძილზე კარგ ამბებს გაიგებთ. **თხის რქა** – თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **მერწყული** – არ აყვეთ პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, კარგ ხასიათზე ხართ.

7 ივლისი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც გსიამოვნებთ. **ტყუპები** – ნუ ენდობით უცხო ადამიანებს, არ არის საჭირო. **კირჩხიბი** – ცხოვრება გეცვლებათ, გიხარიათ. **ლომი** – კარგ ამბებს გაიგებთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – სიახლისა და ბედნიერების განცდა არ გტოვებთ. **ღრიანკალი** – ახალ პროექტს ნუ დატოვებთ, ის კარგია და თქვენი შესაფერისი. **მშვილდოსანი** – თავს ბედნიერად გრძნობთ, ეს წარმატების საწინდარია. **თხის რქა** – ფული გაქვთ, გელით სასიამოვნო ნაცნობობა. **მერწყული** – სიახლე გჭირდებათ, განეწყვეთ საამისოდ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლევან კობიაშვილი: ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე ვერ წარმოიდგენია

ერთ- ერთ გერმანულ საფეხბურთო ჟურნალში ჟურნალისტ შტეფან ჰერმანსის ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ლევან კობიაშვილის შესახებ.

– ლევან კობიაშვილი 10 ივლისს 36 წლის ხდება, თმაში ჭაღარაც შეეპარა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელი კარიერის დამთავრებაზე არ ფიქრობს. კობი „ჰერტასთან“ ერთად პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ახალი სეზონისთვის ისევე გულმოდგინედ ემზადება, როგორც მაშინ, როცა პირველად ჩამოვიდა გერმანიაში და „ფრაიბურგთან“ ერთად თავისი პირველი ბუნდესლიგური სეზონისთვის ემზადებოდა.

ახლა კი ყველაფერს ისიც დაემატა, რომ „ჰერტას“ მეკარეების მწვრთნელად რიხარდ გოლცი დაინიშნა, რომელიც 1998-დან 2003 წლამდე „ფრაიბურგში“ კობის თანაგუნდელი იყო.

– ლევანი მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, ახლა კი კობიაშვილი „ჰერტას“ ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა. მომავალ კვირაში კობი 36 წლის ხდება და თმაში უკვე პირველი ჭაღარები შეეპარა, – იხსენებს გოლცი.

– ჩემს ასაკში სხვები უფრო გაჭაღარავებული არიან ხოლმე, მე კიდევ არა მიშავს, – ეს უკვე ლევანის სიტყვებია.

ლევანს მართლაც არა უშავს – ვეტერანი ქართველი ფეხბურთის თამაშს განაგრძობს და არც უნდა იმის დათვლა, თუ მერამდენე მოსამზადებელ შეკრებას გადის. ცხადია, რომ ისეთი მოქნილი და სწრაფი აღარაა, როგორც ახალგაზრდობაში იყო, მაგრამ...

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მეცხვარემ დათვი შიშველი ხელებით მოკლა

ბოსნიელმა 48 წლის მეცხვარემ, ბლაზო გროვიკმა, შიშველი ხელებით მოკლა დათვი, რომელიც მისი ცხვრის ფარას თავს დაესხა. ის დათვს უკნიდან მიეპარა და ყელში იქამდე უჭერდა ხელებს, სანამ ძირს არ დასცა.

დათვმა მეცხვარისთვის გარკვეული დაზიანებების მიყენება მოასწრო. ორთაბრძოლის შემდეგ ბლაზომ მოახერხა, ძმისთვის დაერეკა, რომელმაც ის ახლომდებარე საავადმყოფოში მიიყვანა.

ათბ-ნიუსი

სნოუდენი მზადაა ჩაპმანზე იქორწინოს

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (სი-აი-იეი) ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი მზადაა, ყოფილი რუსი აგენტის, ანა ჩაპმანის წინადადებას ქორწინებასთან დაკავშირებით თანხმობით უპასუხოს.

„დავქორწინდებოდი ჩაპმანზე, მიუხედავად ყველაფრისა. ღმერთო, უბრალოდ შეხედეთ მას!“, – დაწერა „თვითერის“ საკუთარ გვერდზე სნოუდენმა.

შეგახსენებთ, რომ რუსული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა ანა ჩაპმანმა, რომელიც 2010 წელს, აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შპიონური სკანდალის ფიგურანტია, ამერიკის ხელისუფლების მიერ ძებნილ, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილ თანამშრომელს ედვარდ სნოუდენს ხელი სთხოვა.

„სნოუდენ, იქორწინებ ჩემზე?“– დაწერა 31 წლის ჩაპმანმა „თვითერის“ საკუთარ გვერდზე.

„სი-აი-ეის“ გაქცეული თანამშრომელი, 30 წლის სნოუდენი, რომელმაც აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო მასალები გაასაჯაროვა, უკვე მეორე კვირაა მოსკოვის აეროპორტის „შერემეტიევოს“ სატრანზიტო ზონაში იმყოფება. თავშესაფრის თხოვნით მან 21 ქვეყანას მიმართა, თუმცა ვერცერთი მათგანისგან თანხმობა ვერ მიიღო.

ჩაპმანი და კიდევ ცხრა რუსი მზვერავი აშშ-ში 2010 წლის ივნისში დააკავეს. მოგვიანებით, ყველა მათგანი რუსეთის ციხეებში მყოფ ოთხ მსჯავრდებულზე გაცვალეს.

თავის მხრივ, „ვიკილიკსმა“ გამოაქვეყნა სნოუდენის პირველი საჯარო განცხადება მას შემდეგ, რაც ის რუსეთში ჩავიდა. სნოუდენი აცხადებს, რომ მას ობამა თავშესაფრის უფლებას ართმევს, რადგან ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს დაავალა ზეწოლის მოხდენა ყველა იმ სახელმწიფოზე, რომლებსაც მან თავშესაფრის თხოვნით მიმართა.

პრესკონფერენციაზე სნოუდენის საკითხზე ილაპარაკა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა. მან განაცხადა, რომ სნოუდენი პოლიტიკური დევნილი არ არის, მან სერიოზული დანაშაული ჩაიდინა და პასუხი აშშ-ს მართლმსაჯულების წინაშე უნდა აგოს, სადაც მას თავისუფალი და სამართლიანი სასამართლო პროცესი გარანტირებული ექნება.

მისივე თქმით, აშშ აგრძელებს რუსეთის დარწმუნებას, რომ საჭიროა სნოუდენის მათთვის გადაცემა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი სწორად მოიქცევა.

გ. მ.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ლიეონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 2. გემის მზარეული; 3. დაბალი ხარისხის ალმასი; 4. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 6. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ბასრწვერიანი ძველებური ქართული საბრძოლო იარაღი; 14. ქართული ავიაკომპანია; 15. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 20. აბრეშუმის ჭია.

თარაზულად: 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. მემკვიდრეობითი საგვარეულო ტიტული დასავლეთ ევროპაში; 4. ცხოველთა სათავსო ზოოპარკში; 8. ჰაერის, აირის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 10. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 11. სატანვარჯიშო იარაღი; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. მთიანეთი აზიაში; 17. ბრიტანული არაყი; 19. ფერადი, თანდაყოლილი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. შიშით გამოწვეული მღელვარება; 24. ადგილი მაყურებელთა დარბაზში.

შეადგინა თ.ვოვინაშვილმა